ლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
[illegible]
დედ. ხაზ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის.
10—59. მდივნის.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. ჩერვონცებით მომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ

დღიური

გერმანიის პარლამენტის არჩევნებში იმარჯვებენ კომუნისტები.

კუნძულ სიცილიაზე (იტალიაში) შენდება ახალი ქალაქი, რომელსაც სახელად არქმევენ „მუსოლინიას“.

ინგლისში გრძელდება გემთ საშენებლო [illegible] გაფიცვა.

ჩეხო სლოვაკიის საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების არჩევნებში კომუნისტები იმარჯვებენ.

№ 101 (956) სამშაბათი, 6 მაისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 101 (956)

საქართველოს კომპარტიის
მესამე ყრილობა

იხსნება დღეს, 12 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში

ყრილობის დღის წესრიგი:

ცეკას ანგარიში—მომხსენებელი ამხ. ლომინაძე.
რევიზიო კომისიის ანგარიში—მომხსენ. ამხ. ვაშაკიძე.
ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიში—მომხსენ. ამხ. შ. ლეჟავა.
ნაციონალური პოლიტიკის შედეგები—ამხ. ორჯონიკიძე.
შინაპარტიული მდგომარეობა და პარტმშენებლობის საკითხები—ამხ. ორახელაშვილი.
მუშაობა სოფლად—ამხ. მახარაძე.
პარტიის სამეურნეო ამოცანები—მრეწველობაში და სასოფლო-მეურნეობაში—ამხ. ელიავა.
შინა-ვაჭრობა და მომხმარებელი კოოპერაცია—ამხ. ერქომაიშვილი.
სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია—ამხ. წივწივაძე და ამხ. კანდელაკი.
მუშაობა ახალგაზრდობაში—ამხ. კახიანი.
არჩევნები

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს 9 მაისს
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგში დასმული იქნეს საკითხი: თბილისის პარტიული კონფერენციის შედეგები
მასალად გამოყენებულ იქნეს კონფერენციის ანგარიში, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტში“
თბილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

მთლიანობის ნიშან ქვეშ
(პარტიული ყრილობის გამო)

ღეს გაიხსნება საქართველოს ნისტური პარტიის მესამე ლობა. მის წინ სძევს ერთი ს მუშაობის შედეგები პარტიულ, სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ დარგებში, ელთა ჩვეულებრივი (ასეთ ხვევებში) გათვალისწინების დეგ მმართველმა პარტიამ უნდა დაისახოს სამოქმედო გეგმა მომავალი წლისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი, რომელსაც მკითხველი გაეცნობა ზე, საკმაო სისრულით იძლევა წარმოდგენას იმ მრავალ და საჭირბოროტო კითხვებზე, რომელთა გადაწყვეტა იძლევა შინაარსს ყრილობისას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ მათ შორის საკითხები ჩვენი მეურნეობისა და შინა ვაჭრობის და, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, მდგომარეობა და ამოცანები კოოპერაციისა. ადგილობრივი პირობების მიხედვით არა ნაკლებ მნიშვნელოვანია დღესაც გათვალისწინება ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის მიღწევათა და მორიგი ამოცანების ამ სფეროში. თქმულით უკვე აღნიშნულია უაღრესი მნიშვნელობა მუშაობის. რომელიც უნდა შეასრულოს ყრილობამ და ჩვენ სრული დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ის დადგება თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. რადგან ყრილობას წინ უძღოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი, რომლის დემონსტრაცია მოხდა პარტიული ორგანიზაციების ტონის მიმცემ თბილისის პარტკონფერენციაზე. ჩვენ ვლაპარაკობთ პარტიის მთლიანობაზე.

უთანხმოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს რიგებში დღემდე, ბევრს, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, რაღაც იმედებს უღვივებდა გულში. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდათ და ფიქრით „ხავსათ“ დაესახათ მათ ის მრავალი უთანხმოება ჩვენ რიგებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარტიაში. ხალხის მტრებმა მოღალატეებმა, ბანდიტიზმისა და სხვა ავანტიურიზმის მოციქულებმა დაიწყეს „ხმა მაღლა ქრი“ იმაზე, რომ როგორმე ესარგებლათ ამ უთანხმოებით ჩვენს ერთიან პარტიულ ოჯახში და დაესახათ ის თავიანთი დალუპული ,,საქმის‘‘ მოსურისუმალების გამოსავალ წერტილად. ერთ-ერთ თავის რეზოლიუციაში საქართველოს ბანდიტების (ე. ი. მენშევიკების) ცეკა საკმაოდ გარკვევით ლუღლუღებდა იმის შესახებ, რომ კავშირი გაებათ ეგრედ წოდებულ „უკლონისტებთან“ და მათთან თანამშრომლობით ეცადათ ბედი, მოესინჯათ ,,აფეთქება‘‘ არსებული წესწყობილების, ყოველ შემთხვევაში გამოეწვიათ რაიმე შინაური გართულება თავიანთ უცხოელი ხაზეინების გულის მოსაფხანად და, თუ შეიძლებოდა, საქართველოს საქმეებში მათ ჩასარევათ, საინტერვენციოთ. თავის თავათ იგულისხმება, რომ ყოველი მსგავსი ნაბიჯი ავანტიურისტებისა, თუ ის იქნებოდა გადადგმული, შეეჩეხებოდა მათთვის გამანადგურებელ წინააღმდეგობას არა მარტო პარტიის მხრით, არამედ, რასაკვირველია, იმ ჩვენი ამხანაგების მხრიდანაც, რომლებზეც ისინი ასე უაზროთ ოცნებობდენ. მაგრამ თავისთავათ საინტერესო იყო ეს გადაწყვეტილება ჩვენი მტრების. ცხადია, რომ ჩვენი არსებობისა და ბრძოლის დღევანდელ საერთაშორისო და შინაურ პირობებში, როდესაც ჩვენი დამარცხების იმედებს კვლავ ,,ულოლიავებენ‘‘ იმპერიალისტები გარედან და ახალი ბურჟუაზია შიგნი, ასეთ პირობებში ჩვენ ვერ მივსცემთ თავს ნებას დავუშვათ თვით რაიმე ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი უთანხმოებაც პარტიაში და ფრაქციების არსებობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. და თბილისის პარტკონფერენციაზე გამოსვლა ჩვენი ამხანაგების მათი ურყევი გადაწყვეტილებით პარტიის მთლიანობის სასტიკათ დაცვის და თანხმობით მუშაობის შესახებ საზღვარს უდებს ყოველგვარ ფუჭე იმედებს ჩვენი მტრებისას.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში—და ამის თავდებია ყველა სამაზრო კონფერენციები ჩვენი პარტიისა,—რომ ასეთივე ერთსულოვან დემონსტრაციას პარტიული მთლიანობისა, შეთანხმებული მუშაობისა და მტკიცე კავშირისას ჩვენს რიგებში, ექნება ადგილი სრულიად საქართველოს პარტიულ ყრილობაზე, რომელიც იხსნება დღეს თბილისში.

გაუმარჯოს ამ მთლიანობას! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

გერმანიის კომპარტიის გამარჯვება

საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობა გერმანიაში უახლოვდება დასასრულს.

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა გაცხარებული წინასწარი საარჩევნო კამპანია. ამ კამპანიაში ცხოველი მონაწილეობა მიიღო კომუნისტურმა პარტიამაც.

მაგრამ რა რიგ განსხვავდებიან საარჩევნო ბრძოლის პირობები ჩვენი პარტიისათვის—ერთი მხრით და ყველა დანარჩენი პარტიებისათვის—მეორეთი.

ყველამ ვიცით, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია გენერალ სექტის დიქტატურის დროს „გაუქმებულ“ იქნა, ფაშისტურმა მთავრობამ ჩვენი პარტია ჩადენა იქ იატაკ ქვეშ ჯურღმულებში, და მის გასანადგურებლად მას არ დაუზოგავს არაფერი. გაუგონარი რეპრესიები, მასსიური დაპატიმრება, პრესის აკრძალვა და სხვა მრავალი „სიკეთე“, აი, რით გაუმასპინძლდა ბურჟუაზია ჩვენს გერმანულ პარტიას.

მას შემდეგ, რაც საალყო წესები მოიხსნა გერმანიაში და კომუნისტურმა პარტიამ ისევ დაიწყო ლეგალური არსებობა, ფაქტიურად ის ისევ არალეგალურ მდგომარეობაში იყო. მას წართმეული ჰქონდა და აქვს მასიური პროპაგანდის და საერთოდ მუშაობის ელემენტარული პირობები, რამდენადაც ასეთებზე შეიძლება ლაპარაკი ბურჟუაზიის საზოგადოებაში.

კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ილაშქრებს არა მარტო ფაშისტური ბურჟუაზია, არამედ მისი მარჯვენა ხელი—სოციალ დემოკრატია. აიღეთ თუ გინდ გუშინწინდელი ცნობა, გამოქვეყნებული ჩვენს გაზეთში. პირველ მაისის დემონსტრაციის გამო, რომელიც მოაწყვეს მუშებმა კომუნისტების მეთაურობით, „ფორვერტს“-ი ცენტრალური ორგანო გერმანიის მენშევიკებისა, „პოგრომულ“ აგიტაციას აწარმოებდა კომპარტიის წინააღმდეგ და მოუწოდებდა პოლიციას „შეესრულებია თავისი მოვალეობა“ მის მიმართ.

არჩევნების დროს განსაკუთრებით სასტიკ კამპანიას აწარმოებდენ გერმანელი მენშევიკები კომუნისტების წინააღმდეგ. და ეს იმიტომ, რომ ეშინოდათ კონკურენციისა არჩევნებში, ეშინოდათ, რომ მუშათა კლასი მათ ხარჯზე გაჰყვებოდა კომუნისტებს.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიამ და მისმა მთავრობამ თავის მხრივ მიიღო ყველა ზომები,—როგორც კომუნისტ კანდიდატების წინასწარი დაპატიმრება და მრავალი სხვა,—რათა ჩვენი პარტია სასტიკად დამარცხებულიყო არჩევნებში.

ჩვენს მტრებს ეგონათ, რომ ასეთი რეპრესიული ზომებით და გაფთრებული აგიტაციით კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, ისინი მიაღწევდნენ მიზანს.

აბა როგორ იფიქრებდნენ, რომ მათ მიერ შექმნილ პირობებში კომუნისტური პარტია რაიმე გამარჯვებას მოიპოვებდა.

მაგრამ გაუტეხი აღმოჩნდა ჩვენი პარტია, უძლეველი გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატის ნებისყოფა.

უკანასკნელი ცნობებით, კომუნისტურ პარტიას მიუღია სამი მილიონი ხმა, სოციალისტებს 4 მილიონი, გერმანიის ნაციონალურ პარტიას ამდენივე, სხვა პარტიებს ნაკლები. ბერლინში გასულა 3 ან 4 კომუნისტი, ხოლო სოციალისტი—4. ცნობები არ არის მოსული რურის ოლქიდან, საიდაც მოსალოდნელია ჩვენი პარტიის გამარჯვება.

არჩევნების შედეგები ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული მაგრამ უკვე ცნობილი შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. და ეს იმ დროს, როცა ის ყოველმხრივ უკიდურესობამდე შევიწროვებული იყო; ეს იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატია, რომ არ ვილაპარაკოთ სხვა პარტიებზე,—საარჩევნო ბრძოლაში ყველა პრივილეგიებით სარგებლობდა.

კომუნისტური პარტია საარჩევნო შედეგებით თითქმის გაუთანასწორდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც ოდესღაც მონოპოლიური მფლობელი იყო გერმანიის მუშათა კლასის.

ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ კომპარტია გერმანიაში, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, დღითი დღე იზრდება და ძლიერდება, რომ გერმანიის მუშათა კლასში რევოლიუციონური ცეცხლი თანდათან ბობოქრდება.

მუშათა კლასი თავისუფლდება სოციალ-შეთანხმებლების ტყვეობიდან და დგება კომპარტიის დროშის ქვეშ.

გერმანიის მთელი მშრომელი მასის დაპყრობის და მოღალატე მენშევიკების გარიყვის გზით კომპარტია უახლოვდება ძალა უფლების დაპყრობას, პროლეტარული რევოლიუციის მომენტს.

არჩევნების წინასწარი შედეგები ამის უტყუარი მაჩვენებელია.

ფულის რეფორმა, სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია

ყველაზე საჭირბოროტო და სერიოზული საკითხი, რომელიც წამოიჭრა ფულის რეფორმასთან ერთად, არის საკითხი იმის შესახებ, როგორ ვიხსნათ მასიური მომხმარებელი კერძო მოვაჭრის კლანჭებიდან.

ჯერ კიდევ 2—3 ნახ. წლის წინად, როცა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი ხანის შემდეგ პრაქტიკულად შევუდექით საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების აღდგენას ახალი გეგმით, ვლადიმირ ილიჩმა, რომელსაც გაუცილებლად მიაჩნდა, წარმოების განვითარებასთან ერთად, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაც, წამოაყენა ლოზუნგი: „ისწავლეთ ვაჭრობა“.

მაგრამ საწარმოო მუშაობის დროს ჩვენმა ახლად დაბადებულმა მეურნეებმა თავის დროზე სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ამ ლოზუნგს, დაივიწყეს კიდეც ის.

და წარმოების პროდუქტებს, რომელთაც დიდის რაოდენობით ამზადებდა საბჭოთა მანქანა, იტაცებდა თითქმის განადგურებული კერძო მწარმოებელი, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ცოტათი გამოცოცხლდა და დაიწყო სპეკულიაცია ჩვენივე ნაწარმოებით; ამასთანავე მასიურ მომხმარებლის მწარმოებლის ექსპლოატაციით ის დიდ მოგებას იძენდა.

და მხოლოდ ეხლა, როდესაც ჩამოვარდა „მეხი“, ჩვენმა სამეურნეო მუშაკებმა დაიწყეს „პირჯვარის წერა“.

როდესაც ახლოს მივუდგით ფულის რეფორმას, რომელმაც მოითხოვა უაღრესი მომჭირნეობა სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა დარგებში, როდესაც დარწმუნდით, რომ მთელი საწვრიმალო ბრუნვის 80—85 პროცენტი წილად ხვდა კერძო ვაჭრობას და მუშის ბიუჯეტის მხოლოდ 20—25 პროც. რეალიზაცია ხდება კოოპერაციის საშუალებით, მხოლოდ მაშინ იყო დასმული ჩვენი ეკონომიკის დღის წესრიგში საკითხი კერძო ვაჭრობისა და ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მრავალი დეფექტების შესახებ.

პროფესიონალური ორგანიზაციების პირველმა ცდამ, რომ გაეცნობინათ მუშათა კოოპერაციის როლს ჩვენი ფედერაციის სამეურნეო ცხოვრებაში, გამოარკვიეს მისი აპარატის მრავალი დეფექტები და მისი უმნიშვნელო წონა მუშათა მასების ცხოვრებაში. პროფკავშირთა წევრების მხოლოდ 30—35 პროც. ითვლება კოოპერაციის წევრათ, ამასთანავე უმრავლესობას შეადგენენ მოსამსახურეები, დაზგასთან მომუშავე მუშები კი ძალიან სუსტათ არიან ჩაბმული კოოპერაციის მუშაობაში.

კიდევ უფრო ნაკლები წონა აქვს ჩვენს შედარებით ახალგაზრდა სახელმწიფო ვაჭრობას. მისი სუსტი მხარეა ის, რომ მას არა ყავს მომხმარებელთა მუდმივი შემადგენლობა; მისი მომხმარებელი—შემთხვევითი ელემენტია, როგორც მუშათა, ისე „ობივატელთა“ წრიდან. და ამის გამო მას არ აქვს საჭირო მტკიცე ნიადაგი, **რადგან კოოპერატიული ანდა სახელმწიფო ვაჭრობის წარმატებათ უნდა ჩაითვალოს არა გაყიდული საქონლის რაოდენობა, არა მისი საერთო ბრუნვა, არამედ ის განსაზღვრება, უმთავრესათ, მასიურ მომხმარებელზე გაყიდულ საქონლის ხვედრითი, და აგრეთვე თვით მომხმარებელთა მასის შემადგენლობით.**

და ეს მტკიცე ნიადაგი სახელმწიფო ვაჭრობამაც და კოოპერაციამაც უნდა დაიპყრონ უეჭველათ და რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესი, ეს იქნება ამასთანავე ბრძოლის საუკეთესო საშუალება, როგორც საწვრიმალო ვაჭრობის და საერთოდ ვაჭრობის დაპყრობისათვის, ისე საბჭოთა ფედერაციის სამეურნეო სიძლიერის განმტკიცებისათვის.

მართალია, ეს საკითხები უკვე დასმულია ჩვენი ეკონომიკის დღის წესრიგში, დასმულია მტკიცეთ და საფუძვლიანათ, მაგრამ ჯერჯერობით წამოყენებულია მხოლოდ ის საკითხები, რასაც მოითხოვდა ფულის რეფორმა დღევანდელი სინამდვილისაგან,—ეს არის ფასების დაკლება. და ამ მხრივ, უნდა ითქვას, მეტათ ნაყოფიერი შედეგები იქნა მიღებული. კერძო ვაჭრებმა, მოისურვეს რა თავისი „ლოიალობის“ გამომჟღავნება, არა მარტო დასწიეს ფასები მასიური მოხმარების საგნებზე კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ფასების დონემდი, არამედ ზოგიერთ საგნებზე მათ კოოპერატიულზე ნაკლები ფასებიც კი დააწესეს (რაც, რასაკვირველია, ხდება განსაზღვრული მიზნით).

მაგრამ, ვიცით რა კერძო კაპიტალის ბუნება, ჩვენ არ უნდა გაგვიტაცოს ამან და არ უნდა მივეცეთ ილიუზიებს, რადგან „არაფერი არ არის ისე საშიში, როგორც ილიუზიები“, როგორც ამას ყოველთვის გვასწავლიდა განსვენებული ვლადიმერ ილიჩი.

ფულის რეფორმის პირველი ბრწყინვალე დღეები გაივლის, რის შემდეგაც კერძო ვაჭარი გამოფხიზლდება და ის ხელახლა დაიწყებს თავისი ნამდვილი ბუნების გამომჟღავნებას; ამიტომ ფასების დაკლების სფეროში მიღწეულ შედეგებით გატაცება და მარტო ამით დაკმაყოფილება მეტათ სახიფათო საქმეა. შინავაჭრობის კომიტეტმა უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა, რომელიც მიმართული უნდა იქნეს მტკიცე ბაზის შექმნისაკენ სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის; ამის მიღწევა კი შეიძლება ამ უკანასკნელთა მიერ მუშათა და გლეხთა ფართო მასების ცხოვრებასთან ახლო მიდგომით. და ამ წრეში შინავაჭრობის კომიტეტს და კოოპერაციას უნდა დაეხმარონ პროფესიონალური ორგანიზაციები.

არის მეტათ დიდი მნიშვნელობის მქონე მრავალი „წვრიმალები“, რომელნიც თავის თავად გამომდინარეობენ ფულის რეფორმიდან და ფასების დაკლების პოლიტიკიდან, მაგრამ მათ არავითარი ყურადღება არ აქვს მიქცეული.

ავიღოთ, მაგალითად, კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დუქნების და აგრეთვე სინდიკატების, ტრესტების და სხვათა გახსნის და დახურვის დრო.

ერთი შეხედვით, თუ ფულის რეფორმის გატარება დაკავშირებულია მუშათა ფართო მასების ჩაბმასთან კოოპერაციასა და სახელმწიფო ვაჭრობის მუშაობაში, მაშინ უნდა გვეფიქრა იმაზე, რომ ვაჭრობა ამ დუქნებში ხდებოდეს იმ დროს, როდესაც მუშები თავისუფლდებიან სამუშაოდან და მათ საშუალება აქვთ ყველა აუცილებელი საგნები შეიძინონ მხოლოდ ამ დუქნებში, ნამდვილათ კი ასე არ ხდება. მუშათა კოოპერატივის მხოლოდ რამოდენიმე დუქანი ვაჭრობს საღამოობით, და საერთოდ ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ საქონლის ასორტიმენტი ამ დუქნებში ისეთია, რომ ვერ დააკმაყოფილებს მცირე მოთხოვნილების მომხმარებლის საჭიროებებსაც კი. რაც შეეხება სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მაღაზიებს,—ისინი იხურებიან სწორედ იმ დროს, როდესაც მშრომელები თავისუფლდებიან სამუშაოდან

ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია მუშების საყვედური იმის გამო, რომ ისინი ვერასოდეს ვერ ახერხებენ ამ დუქნებში საქონლის ყიდვას, რადგან ისინი საღამოობით დაკეტილია

ერთხელ მე მოვისურვე გამეგო, როგორი გავლენა მოახდინა ფულის რეფორმამ ჩვენი ტრესტების და სინდიკატების საქმიანობაზე. ამ მიზნით მე დავათვალიერე დღის 3 საათზე, სამუშაო დღეს, ის დუქნები, სადაც ყიდიან მასიური მოხმარების საგნებს. მივედი პირველად ს. მ. უ. ს. ტყავის ტრესტის დუქანთან. კარები დაკეტილია, გარეთ სდგას 8—10 მუშა, რომელთაც სურთ დუქანში შესვლა, მაგრამ მათ არ უშვებს დუქნის შიგნით კარებთან მდგომი დარაჯი. გადავდივარ პირდაპირ, საფეიქრო სინდიკატის დუქანთან; დუქანი ჯერ კიდევ ღიაა და გაჭედილია მყიდველებით. ვეკითხები მოსამსახურეს, თუ როდის დაიკეტება დუქანი და ვღებულობ პასუხს: ეხლავე დაიკეტება. ასეთივე მდგომარეობაა რეზინის ტრესტის მაღაზიაში, სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ორივე მაღაზიაში სასახლის ქუჩაზე და მუშათა კოოპერატივის დუქანში პუშკინის ქუჩაზე; ყველა ეს მაღაზიები იხურებიან დღის 3 და 4 საათს შუა. და ყველგან დახურულ კარებთან ვხვდები მუშებს, რომლებიც უკმაყოფილებას გამოსთქვამენ და ამბობენ: ,,აი ესეც, საკავშირო დისციპლინის ძალით მიდიხარ კოოპერაციაში და ის კი არ გიშვებს დუქანში.“

და ამ დროს იწყება კერძო დუქნების ყველაზე უფრო გაცხოველებული ვაჭრობა.

იბადება კითხვა, რატომ არის შექმნილი ასეთი უპირატესობა სახელმწიფო ვაჭრობისათვის და პროფკავშირი რატომ აძლევს ასეთსავე უპირატესობას ამ დუქნების მოსამსახურეებს, კერძო დუქნების მოსამსახურეებთან შედარებით, რომლებიც დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდი მუშაობენ.

ბევრს ეს წვრიმალათ მოეჩვენება, მაგრამ ამ წვრიმალებისაგან არის დამოკიდებული დიდი საქმე, სახელდობრ: 1) უნდა იყოს თუ არა ჩვენი სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობა იაფი საქონლის მიმწოდებელი მუშათა მომხმარებლისათვის, თუ მან მხოლოდ წვრილ-ბურჟუაზიულ მეშჩანურ საქონელით უნდა ივაჭროს და 2) როგორ დავიპყროთ ვაჭრობა, როდესაც სახელმწიფო დუქნების კარები იკეტება მუშა-მომხმარებლის ცხვირის წინ.

ამ „წვრიმალს“ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს შინა ვაჭრობის კომიტეტმა.

რასაკვირველია, საწვრიმალო ვაჭრობის და საერთოდ ვაჭრობის დაპყრობის პროცესი—მეტათ გრძელი პროცესია, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი მეურნეობის განვითარებასთან. ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენი ძალები მიმართული იქნეს იქითკენ, სადაც მათი გამოყენება მოხდება რაც შეიძლება უფრო ნაყოფიერათ. ეს ნიშნავს შემდეგს: გაუმჯობესებული უნდა იქნეს სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის არსებული აპარატები, აღმოფხვრილი იქნეს გულგრილი დამოკიდებულება მასიურ მომხმარებლისადმი. ეს გულგრილობა ხასიათდება მრავალი მოვლენებით, დაწყებული საქონლის ცუდი შერჩევით და შეუფერებელ მოსამსახურეთა მუშაობაზე დაყენებით და გათავებული დუქნების დაკეტვით სწორედ იმ დროს, როდესაც მუშაობა წყდება წარმოებებში და დაწესებულებებში.

სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის განვითარება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს არა მარტო ფასების დაკლებით და მისთვის უპირატესობის მინიჭებით კერძო მწარმოებლის წინაშე, არამედ ისეთი პირობების შექმნით, რომ მუშებმა და მოსამსახურეებმა მიაშურონ კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის დუქნებს.

ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ იმათ, ვისაც ჩაბარებული აქვს სახელმწიფო ვაჭრობის ბედ-იღბალი.

ი. ქ.

პარლამენტი და საბჭოები
(საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნების გამო)

თავის დაარსების დღიდან, პირველივე კონგრესზე 1919 წელს, კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულობა პარლამენტარიზმზე.

კომუნისტების თვალში პარლამენტარიზმი არ არის არც რაიმე დამთავრებული და არც სასურველი ფორმა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციისა. ის გამოხატავს მხოლოდ ბურჟუაზიის უკიდურეს სიძლიერეს. ის არის გამომსახველი იმ ყალბი, გამოთაყვანებული დემოკრატიისა, რომელიც დღეს მეფობს ყველგან, გარდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის.

სიყალბე მდგომარეობს შემდეგში: ყოველ ოთხ წელიწადს დაეკითხებიან „ხალხს“. ის ირჩევს „თავისუფლად“ თავის წარმომადგენლებს, რომელნიც თავის მხრივ კონტროლს უწევენ მთავრობას. მთავრობა კი ემორჩილება მათ კენჭის ყრას.

ყოველივე ეს არის მხოლოდ ცარიელი ფორმალობა. სინამდვილე კი სულ სხვას გვიმტკიცებს. „საზოგადოებრივი აზრი“, რომელზედაც არის თითქმის დამყარებული მთელი ეს შენობა, დღევანდელ გარემოებაში შემზადებულია და შექმნილი საგანგებოთ პრესის საშუალებით ისევე, როგორც ჩვეულებრივი მანუფაქტურული ნაწარმოები.

ყოველ დილით საფრანგეთში ექვსი მილიონი ეკზემპლიარი გაზეთი ვრცელდება ამ მიზნით. ყველა ისინი, გარდა „ლიუმანიტესი“ იმყოფებიან პირდაპირ თუ არაპირდაპირ კაპიტალისა და მთავრობის ბრძანებლობის ქვეშ.

ისინი ამახინჯებენ სინამდვილეს. სტყუიან მოხერხებულათ. ავრცელებენ ბურჟუაზიის ხელსაყრელ აზრებს ცილისწამებითა და სიყალბით უმასპინძლდებიან ყველა ცდას მშრომელთა განთავისუფლებისას და ყოველნაირათ ხელს უშლიან მას.

მთელ ქვეყანაში ბურჟუაზიული გაზეთები იმყოფებიან კაპიტალის ხელში. და ყველა ჟურნალისტებიც დაქირავებული არიან კაპიტალის მიერ, როგორც ეს ერთხელ კიდევ გამოაშკარავა ამხ. სუვარინის კამპანიამ.

ამ მოსყიდულ და მომსყიდველ პრესის გვერდით, რომლის მოვალეობაც მხოლოდ ის არის, რომ შექმნას ყალბი საზოგადოებრივი აზრი, არის კიდევ მესაკუთრეთა ძლიერი ორგანიზაცია. იგიც მოქმედობს აშკარათ, რომ გაარკვიოს საზოგადოებრივი სინიდისისა და შეგნების მოსყიდვა.

უკვე დამტკიცებულია, რომ მემარჯვენე და მემარცხენე ბურჟუაზიული კანდიდატები თავიანთ საარჩევნო თანხებს იღებენ ამ შემთხვევისათვის საგანგებოთ დაარსებულ ორგანიზაციებიდან.

„ეკონომიურ ინტერესთა ლიგა“ და სხვა ოფიციალური საზოგადოებანი დაურიდებლათ და აშკარათ ურიგებენ ფულებს თავიანთ მოსყიდულებს.

ასეთია კაპიტალისტურ ქვეყნებში შინაარსი ეგრედ წოდებულ საყოველთაო არჩევნებისა. ასეთია საძირკველი „ლიბერალურ დემოკრატიის“ ხელისუფლებისა

რაკი აირჩიეს დეპუტატები ამგვარად, შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში ისინი რჩებიან თავიანთ ამომრჩევლების ყოველგვარ კონტროლის გარეშე. უდიდესი უმრავლესობა ამ დეპუტატებისა ხდებიან ნამდვილი ლაქიები მთავრობისა, რომელსაც მოეპოვება მრავალგვარი საშუალება ან სავსებით ჩააჩუმოს ისინი, ან გადააქციოს თავის ყურმოჭრილ მონათ.

აი ეს არის პარლამენტარიზმი.

როგორც ხედავთ, იგი არ არის სახარბიელო. მაშ კომუნისტების მოვალეობა ის კი არ არის, რომ ხელში ჩაიგდონ პარლამენტი და გადააგვარონ, არამედ უნდა მისპონ იგი და შესცვალონ იმ ორგანიზაციით, რომელიც ძირითადათ ეწინააღმდეგება პარლამენტარიზმს თავისი წარმოებითაც და მოქმედებითაც.

მაგრამ სანამ პროლეტარიატს ჯერ არ მოუპოვებია იმდენი ძალა, რომ სავსებით დაამხოს თანამედროვე ხელისუფლება, კომუნისტურ ინტერნაციონალს საჭიროდ მიაჩნია, რომ პროლეტარიატის წარმომადგენლები შევიდენ პარლამენტში, იერიში მიიტანონ მასზე შიგნიდან და ამ გვარად ხელი შეუწყონ მის დანგრევას. ის აყენებს ორ პირობას ამგვარი მოქმედებისთვის.

პირველი: ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ კლასთა შორის გადამწყვეტი ბრძოლის ცენტრი იმყოფება პარლამენტ გარეშე. ყოველთვის უნდა განვმარტოთ, რომ ტრიბუნიდან წარმოთქმული არც ერთი სიტყვა, არც ერთი კენჭის ყრა უმრავლესობისა თუ უმცირესობისა არას დროს არ იქნება გადამწყვეტი, მხოლოდ საერთო გაფიცვასა და აჯანყებას შეუძლიან იყვეს გადამწყვეტი და არა სხვადასხვა საარჩევნო ჩხირკედელაობას.

მეორე: ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენ საპარლამენტო ჯგუფს არ შეუძლიან დამოუკიდებლად მოქმედება. ყოველი მისი ნაბიჯი უნდა შეთანხმებული იყოს პარტიის აღმასრულებელ ორგანოებთან. ამორჩეულები პარლამენტში არიან როგორც წევრები პარტიისა და თავიანთი კლასისა. იგინი ყოველთვის უნდა მზათ იყვნენ დაემორჩილონ ყოველივე ხელმძღვანელობას უზენაეს ორგანოებისას.

რაკიღა შესრულებულ იქნება ეს ორმაგი პირობა, კომუნისტურ პარტიამ უეჭველად უნდა გამოიყენოს პარლამენტალური აპარატი, რომ ხელი შეუწყოს რევოლიუციის მომზადებას

მაგრამ ერთ დღეს მაინც უნდა დაინგრეს თვით ეს აპარატი და შეიცვალოს სულ ახალი ხელისუფლებით, რომელიც შემდგარი იქნება ახალი საარჩევნო სისტემით.

რაკი ხელში აიღებენ ძალაუფლებას, რომელ ახალ საშუალებას წამოაყენებენ მუშები და გლეხები, რომ გამოხატონ ხალხის ნებისყოფა.

რუსეთის რევოლიუციამ ამ კითხვაზე უპასუხა საბჭოთა სისტემით. ამ გზით წავალთ ჩვენც. ამ პროგრამით ვიღებთ ჩვენც მონაწილეობას საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში.

მარსელ კაშენ

„ლიუმანიტე“.

ბურჟუაზიული გადაშენების საფრთხე
(ვირაპის საქმის გამო)

ამ დღეებში უზენაესმა სასამართლომ გაარჩია საქმე ვირაპის, ჩვენი პარტიის წევრის, რომელსაც მთელი რიგი საპასუხისმგებლო პარტიული და საბჭოთა თანამდებობები ეჭირა.

გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ვირაპის პროცესს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს მთელი პარტიული და მშრომელი მასა. კიდევ მეტი: ე. წ. ფართე საზოგადოებაც, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტებიც.

რა მოხდა?—პირველ შეხედვით სრულიად ჩვეულებრივი და უბრალო რამ. ფორმალური თვალსაზრისით აქ იყო მხოლოდ დარღვევა საავტომობილო მოძრაობის არსებული წესების, რასაც შედეგად მოყვა კატასტროფა, რომელმაც დაამსხვრა რამოდენიმე მოქალაქე. რა თქმა უნდა, ეს თავისთავად საგრძნობი დანაშაულია, რომლისათვის საბჭოთა კანონმდებლობა გარკვეულ სასჯელს ადებს დამნაშავე პირს.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს ვირაპის საქმის ფორმალურ-პროცესუალური მხარე. განა ცოტა მსგავსი შემთხვევები ხდებოდა თბილისის ქუჩებში, მაგრამ ასეთები არ გამხდარან პარტიულ და მუშათა საზოგადოებრივ აზრის ყურადღების საგნად.

ვირაპის საქმეში მთავარია მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. პარტიის ცეკას და საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა, როგორც ვიცით, ვირაპის საქციელი შეაფასა, როგორც ბურჟუაზიული გადახრა და მოწყვეტა მუშათა მასებისაგან

ახალი ეკონომიური პოლიტიკის უარყოფითმა გავლენამ ვირაპის მოქმედებაში მკაფიოდ იჩინა თავი.

ვირაპი პასუხისმგებელი კომუნისტია, ამასთან ისეთი, რომელიც მუშაობდა სამეურნეო ორგანოებში და გარშემორტყმული იყო „ნეპმანური“ ელემენტებით.

ვირაპმა ვერ დაიჭირა გამოცდა, ვერ შეინარჩუნა კომუნისტური სიმტკიცე, ის მსხვერპლი გახდა ბურჟუაზიულ ზნე-ჩვეულებების. მან თითონ დაიწყო ავტომობილის მმართველობა, შოფერობა, როგორც ამით უყვართ გართობა ბურჟუებს. ამასთან გამოირკვა სასამართლოში, რომ ვირაპი ორი სამი საათით ხშირად გადიოდა ავტომობილით სასეირნოდ და „შოფერობის შესასწავლად“. ვის ხარჯზე „დასეირნობდა“ ვირაპი?—სახელმწიფოს ხარჯზე. ის ცვეთავდა სახელმწიფოს კუთვნილ მანქანას, ხარჯავდა ბენზინს არა მარტო სამსახურის საქმეების გამო, არამედ პირადი კმაყოფილებისათვის.

ყველაფერი ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ვირაპი დაშორდა პარტიას, მუშათა მასას, მასზე შესუსტდა მათი კონტროლი და გავლენა.

ვირაპის ბურჟუაზიული გადახრისათვის დამახასიათებელია ისიც, თუ როგორ ეჭირა მას თავი სასამართლოში. ამხ. მოსამართლეებს ის უწოდებდა „ბატონებს“ და ამით უპირდაპირებდა თავის თავს საბჭოთა ხელისუფლებას და მისი მართლ-მსაჯულების წარმომადგენლებს.

უზენაესმა სასამართლომ ყველაფერი ეს მიიღო მხედველობაში და გამოუტანა ვირაპს საერთოდ ასეთი დანაშაულისათვის დაწესებული უმაღლესი სასჯელი—ექვსი თვით დაპატიმრება.

ეს განაჩენი მრავალმხრივაა საგულისხმო და პირველ ყოვლისა იმ მხრივ, რომ ჩვენი პარტია, საბჭოთა ხელისუფლება ხელს კი არ აფარებენ პასუხისმგებელ ამხანაგებს, როცა ისინი დანაშაულს ჩაიდენენ, არამედ ეკიდებიან მათ უფრო სასტიკად, ვინემ ჩვეულებრივ მოქალაქეთ.

პარტიული და მშრომელი მასსა დიდი კმაყოფილებით შეხვდება სასამართლოს დადგენილებას.

მაგრამ ვირაპის პროცესში სხვა მომენტია უფრო საყურადღებო.

ამ პროცესმა გვიჩვენა ის ბალღამი, რომელსაც ჰქმნის თვით ჩვენს პარტიულ ორგანიზმში ბურჟუაზიული რეაქცია.

ამ პროცესმა გამოააშკარავა ბურჟუაზიულ გადახრის საშიშროება, რომელსაც გვიმზადებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე აღმოცენებული სოციალური და საზოგადოებრივი ურთიერთობა.

აქედან პარტია გააკეთებს შესაფერ დასკვნას. სისტემატიური ბრძოლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამხრწნელ გავლენასთან ჩვენს რიგებში, კერძოდ მეტი კონტროლი სამეურნეო ორგანოებში მომუშავე ამხანაგებზე—ასეთია ერთი ჩვენი ძირითადი ამოცანათაგანი.

ვირაპი ერთი არ არის, ვირაპები სხვადასხვა სახით ალბად კიდევ მოიპოვებიან პარტიაში.

პარტიის გაწმენდა რკინის ცოცხით ასეთი ელემენტებისაგან, დაუზოგველი ბრძოლა ფუფუნებასთან, ბურჟუაზიულ ჩვეულებებთან ჩვენს რიგებში—ასეთი ამოცანა კარგი ხანია დგას ჩვენს წინაშე. ამ ამოცანას ჩვენ ვახორციელებთ შეძლებისდაგვარად სხვათა შორის, ვირაპის საქმე გვეუბნება, რომ ამ მიმართულებით ჩვენ მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ.

X

გერმანიის ვალები
საფრანგეთ-ბელგიის კონფერენცია

პარიზი. 1 მაისი. საფრანგეთ-ბელგიის კონფერენციის ოფიციალურ ცნობაში სარეპარაციო საკითხის შესახებ აღნიშნულია, რომ საფრანგეთის და ბელგიის მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საფრანგეთის და ბელგიის მთავრობების კომპეტენციის შესახებ სარეპარაციო საკითხში და დაადგინეს განაგრძონ მოლაპარაკება,—სხვა მოკავშირეებთან შეთანხმების დაჩქარების მიზნით.

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ კონფერენციაზე მიღწეულია შეთანხმება იმის გარშემო, რომ საჭიროა სარეპარაციო კომისიას მიეცეს საშუალება მიიღოს ზომები ექსპერტთა პროექტის განსახორციელებლად და აგრეთვე დადგენილ იქნა დასთანხმდენ რურის ეკონომიურ ევაკუაციაზე, სამხედრო ოკუპაციის დატოვებით, სანამ გერმანია არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს. ფოშის წინადადებით, მიღებულია დადგენილება რეინის გზების საერთო გერმანიის რკინის გზების ქსელში შეყვანის შესახებ იმ პირობით, თუ მიღებული იქნება საჭირო ზომები უშიშროების დასაცავად და საოკუპაციო ჯარებისათვის სურსათის მისაწოდებლად.

საფრანგეთ-ბელგიის მოლაპარაკება გაგრძელდება ლონდონში ბელგიის მინისტრების დაბრუნების შემდეგ. შესაძლოა, რომ პუანკარე არჩევნების შემდეგ გაემგზავრება ლონდონში. ფიქრობენ, რომ ნაწილობრივ მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვება მოკავშირეთა საერთო კონფერენცია.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

ბელგია ახლო ხანში სცნობს საბჭოთა კავშირს.

შვეციის პარლამენტმა დაამტკიცა სავაჭრო ხელშეკრულება ჩვენთან.

ოსმალეთის სავაჭრო წრეები კმაყოფილნი არიან ჩვენი სავაჭრო დელეგაციის მუშაობით.

გერმანიის მთავრობის თავხედობა

გერმანიის ხელისუფლების აღმაშფოთებელი გამოსვლა

ბერლინი, 3 მაისი. ბერლინში მყოფ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: „3 მაისს შუადღისას პოლიციელების და საიდუმლო პოლიციის წარმომადგენელთა დიდი რაზმი შეიჭრა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში. კანტორის შენობა დაკავებულ იქნა, თანამშრომლები გამორეკეს გარედ, საწერი მაგიდები და შკაფები გასტეხეს ხიშტებით, ყოველგან მოახდინეს ჩხრეკა. მოძრაობის თავისუფლება არ მისცეს თვით სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელებსაც, რომლებიც ეკუთვნოდენ დიპლომატიურ კორპუსს, ხოლო ერთერთ მათგანს პოლიციამ ჩამოართვა დიპლომატიური პასპორტი. სავაჭრო წარმომადგენლობის ზოგიერთ თანამშრომლებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა; ბევრი დააპატიმრეს და გადაგზავნეს საპოლიციო ბიუროში.

პოლიციის მოქმედებას ხელმძღვანელობდა მთავრობის მრჩეველი ვეისი. პოლიციის მოქმედება მეტად უხეშ ხასიათს ატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრესტინსკი დაუყოვნებლივ გაემგზავრა გარეშე საქმეთა მინისტრთან შტრეზემანთან, რომელმაც დაუშვებლად სცნო პოლიციის მოქმედება და აღუთქვა ჩხრეკის დაუყოვნებლივ შეჩერება,— პოლიცია დარჩა წარმომადგენლობის შენობაში შუადღიდან 4 საათსა და 20 წუთამდე".

სრულუფლებიანი წარმომადგენლობა უცქერის გერმანიის ხელისუფლების მოქმედებას, როგორც ექსტერიტორიალობის გაუგონარ დარღვევას და საერთაშორისო და დიპლომატიური ჩვეულებების უხეშად გათელვას.

არჩევნების შედეგები გერმანიაში

კომუნისტები იმარჯვებენ.

ბერლინი. 5 მაისი. უკანასკნელი ცნობებით, გერმანიაში მიმდინარე არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს ხმის დიდი რაოდენობა. ორშაბათს, დილით 4 მილიონი ხმა ჰქონდათ მიღებული სოციალისტებს, 4 მილიონი—გერმანიის ნაციონალურ პარტიას, 1,700,000—სახალხო პარტიას, 1,800,000—დემოკრატებს, 2,500,000—ცენტრალურ პარტიას, 3 მილიონი ხმა—კომუნისტებს, 1 მილიონი ბავარიის სახალხო პარტიას.

ჯერ ცნობები არ არის მიღებული რურის ოლქიდან. ბერლინში დღემდი არჩეულია 4 სოციალისტი, 3 თუ 4 კომუნისტი, 3 თუ 4 გერმანიის ნაციონალური პარტიიდან, თითოთითო სახალხო და დემოკრატიულ პარტიებისაგან. არჩეულთა შორის ყველა მინისტრები და პარტიის ლიდერები არიან.

საარჩევნო კამპანია.

ბერლინი. 5 მაისი. გერმანიაში საარჩევნო კამპანია აღწევს განვითარების უმაღლეს წერტილს.

კომუნისტების გამარჯვება.

ბერლინი. 5 მაისი. გერმანიის სხვადასხვა ადგილიდან მიღებული ცნობებით, არჩევნებში მონაწილეობას იღებულობს ამომრჩეველთა 80—90 პროცენტი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ზომიერმა ლიბერალურმა პარტიებმა ბევრი ხმა დაჰკარგეს უფრო კონსერვატიული პარტიების სასარგებლოდ. კომუნისტებმა საკმაოდ გაადიდეს ხმის რაოდენობა სოციალ-დემოკრატების ხარჯზე.

ამჟამად კიდევ ძნელია იმის თქმა, თუ როგორი იქნება მომავალი რეიხსტაგის შემადგენლობა, მაგრამ ეხლაც უკვე ნათლად სჩანს, რომ ის პარტიები, რომელთაც უჭირავთ ზომიერი ხაზი, საგრძნობლად ზარალობენ არჩევნებში.

ლონდონი. 5 მაისი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, ჰალეში არჩევნების შედეგები ასეთია: ნაციონალისტებმა მიიღეს 26,300 ხმა, სახალხო პარტიამ—18,900, სოციალისტებმა—8,200, ცენტრმა—1,400, დემოკრ. 6,200, დრეზდენიდან მიღებული ცნობით, სოციალისტებმა მიიღეს 334,000 ხმა, ნაციონალისტებმა—225,000, სახალხო პარტიამ—12,500, დემოკრატებმა—92,000, კომუნისტებმა—80,900, ცენტრალურმა პარტიამ—11,700

ბერლინის გაზეთების ცნობით, არჩეულია ადმირალი ტირპიცი.

აჯანყება სირიაში

ანგორა 4 მაისი. ფრანგებმა გააძლიერეს რაზმები ბეირუტიდან გაგზავნილ დამხმარე ძალებით და წინადადება მისცეს მეამბოხეებს დანებდენ. მეამბოხეების უარის შემდეგ ფრანგებმა გადასწვეს 11 სოფელი ოსმალეთთან მოსაზღვრე რაიონში.

რურის ციხეებში

დაპატიმრებულ რევოლუციონერების დასაცავად.

პარიზი. 2 მაისი. „იუმანიტე" აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა რეპრესიების წყალობით მაინცის ციხეში იმყოფება 120 აქტიური რევოლუციონერი—ყველა ეროვნების წარმომადგენელი და მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს დაიწყონ კამპანია დაპატიმრებულთა განთავისუფლებისათვის და მოითხოვონ პირველ რიგში დაპატიმრებულთათვის პოლიტიკური რეჟიმის შემოღება.

ინგლისი და ჩინეთი

გასამართლება 3 უცხოელის შეურაცყოფისათვის

პეკინი 3 მაისი. ახლო მომავალში პეკინის ტრიბუნალში გასამართლებულ იქნება ჩინეთის გუშაგი, რომელსაც ბრალად ედება 3 უცხოელის ცემა. ჩინეთის მთავრობამ აცნობა ინგლისის მისიას, რომ ის დაუშვებს პროცესზე მისიის წარმომადგენლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის მოხელეებს ნებას დართავენ დაესწრონ ინგლისელი მოხელეს გასამართლებას, რომელსაც ბრალად ედება ჩინეთის საბაჟოს მოხელის ცემა

მუშათა მოძრაობა გერმანიაში

გაფიცვები გრძელდება.

ბერლინი. 3 მაისი. საქსონიის საფეიქრო მრეწველობის ლოკაუტი დამთავრდა. შრომის ხელფასი გადიდებულია 10 პროცენტით.

ჩრდილოეთ გერმანიის ნავთსადგურების მუშებმა უარყვეს წინადადება არბიტრაჟის შესახებ. გაფიცვა გრძელდება.

რურისა და ზემო-სილეზიის სამთომადნო რაიონებში მუშებმა უარყვეს წინადადება არბიტრაჟის შესახებ და დაადგინეს დასტოვონ მაღაროები 7 საათის მუშაობის შემდეგ

მუშების გამარჯვება.

ბერლინი 3 მაისი. საგაფიცვო მოძრაობა რურის ოლქში სუსტდება. მეწარმოებლები დათანხმდნენ 8 საათის სამუშაო დღის დატოვებაზე.

სამშენებლო მუშებს შორის.

ბერლინი. 3 მაისი. ბავარიაში გრძელდება სამშენებლო მუშების მასიური დათხოვნა. დათხოვნილია 50 000 მუშა. მოსალოდნელია კიდევ 20 000 კაცის დათხოვნა. საქსონიაში დაიწყო სამშენებლო მუშების ნაწილობრივი გაფიცვა.

კომუნალურ მეურნეობის მუშების გამარჯვება

ბერლინი 3 მაისი. შუა გერმანიის კომუნალურ მეურნეობის გაფიცვა, რომელიც ორი დღე გრძელდებოდა, დამთავრდა მუშების გამარჯვებით; მუშებმა მიაღწიეს შრომის ხელფასის გადიდებას.

მდგომარეობა ინგლისში

მაკდონალდმა გამოიწვია ლიბერალები.

ლონდონი. 2 მაისი. თემთა პალატამ 238 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 144 ხმისა უარჰყო ლიბერალების მიერ შეტანილი კანონ პროექტი პროპორციონალურ წარმომადგენლობის შესახებ. მუშათა პარტიის 77 წევრი კანონ პროექტის წინააღმდეგ აძლევდა ხმას. ლიბერალებმა მოითხოვეს მთავრობისაგან კანონ-პროექტისათვის მხარის დაჭერა. ამას საპასუხოთ ჰენდერსონმა განაცხადა: „თქვენ ყოველთვის [illegible] ჩვენ,—[illegible]"!

ლიბერალები მხარს უჭერენ მუშათა მთავრობის ბიუჯეტს.

ლონდონი 2 მაისი. ლიბერალების ფრაქციამ გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს სნოუდენის მიერ წარდგენილ ბიუჯეტს.

მზადდება დიდი პოლიტიკური კრიზისი.

ლონდონი. 1 მაისი ნახშირის მრეწველობის საგამომძიებლო კომისიამ დაამთავრა მუშაობა. ნახშირის მაღაროების მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გამოიწვევს მრეწველობის ახალ გასავალს 65 მილ. გირ. სტერლინგს და მუშაობის შეწყვეტას. მუშების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მრეწველობამ უნდა აძლიოს სათანადო ხელფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მემაღაროები იძულებული გახდებიან სხვა ადგილას იძებნონ სამუშაო. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისიას არ აქვს უფლება განიხილოს საკითხი მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ.

მუშათა წრეებში ამტკიცებენ, რომ თუ მუშების მოთხოვნილებები არ იქნა დაკმაყოფილებული, დაიწყება დიდი პოლიტიკური [illegible], ვინაიდან მემაღაროებს მხარს უჭერენ ყველა მუშები.

საჰაერო გიგანტი.

ბერლინი. 4 მაისი „დეილი მეილ"-ის ცნობით ბრიტანეთის მთავრობას განზრახული აქვს ააშენოს ისეთი გიგანტიური საჰაერო ხომალდი, რომელიც თავის მანქანების ძალით უნდა აღემატებოდეს მსოფლიოში არსებულ ყველა აპარატებს.

შენიშვნები ჩვენი დელეგაციის ამოცანების შესახებ ჰააგაში

ქვემოთმოყვანილი შესანიშნავი დოკუმენტი დაწერილია ამხ. ლენინის მიერ 1922 წლის 4 დეკემბერს და განზრახული იყო სახელმძღვანელოთ ჩვენი დელეგაციისათვის, რომელიც მიემგზავრებოდა მეორე ინტერნაციონალის კონფერენციაზე ჰააგაში ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის განსახილველად.

გ. ზინოვიევი.

—

ომის საფრთხესთან ბრძოლის შესახებ, ჰააგის კონფერენციასთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს იმ ყალბი აზრის დაძლევა, რომ ეს არის უბრალო, ნათელი და შედარებით იოლი საკითხი.

— უპასუხოთ ომზე გაფიცვით ან რევოლუციით, ასე ეუბნებიან ჩვეულებრივათ მუშათა კლასს რეფორმისტების თვალსაჩინო ბელადები. და ძლიერ ხშირათ, ამ პასუხების ვითომდა რადიკალური ხასიათი აკმაყოფილებს და ამშვიდებს მუშებსა და გლეხებს.

შესაძლოა, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ დავიწყოთ ამ აზრის გადაჭრით უარყოფიდან. განვაცხადოთ, რომ განსაკუთრებით ახლა, ახლახან დამთავრებული ომის შემდეგ, მხოლოდ სულელს ანდა უღირსო მატყუარა ხალხს შეუძლია მტკიცება, რომ ასეთ პასუხს კითხვაზე ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ რაიმე ფასი აქვს.

განვაცხადოთ, რომ გაფიცვით „პასუხის მიცემა" ომზე შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია ომზე „პასუხის მიცემა" რევოლუციით, ამ სიტყვების მარტივი და ნამდვილი მნიშვნელობით.

უნდა აუხსნათ ხალხს პირობები იმის, თუ რამდენათ დიდია ის საიდუმლოება, რომლიდანაც ომი იშვება, და როგორი უმწეოა მუშების ჩვეულებრივი ორგანიზაცია,—თუ გინდ ის თავის თავს რევოლუციონურს უწოდებდეს,—მოახლოებული ომის წინაშე.

უნდა აუხსნათ ხალხს ყოველმხრივ, ზედმიწევნით კიდევ და კიდევ, როგორ მდგომარეობაში იყო საქმე უკანასკნელი ომის დროს და რატომ არ შეიძლებოდა, რომ სხვა მდგომარეობა ყოფილიყო.

განსაკუთრებით უნდა იქნას განმარტებული იმ გარემოების მნიშვნელობა, რომ „სამშობლოს დაცვა" ხდება აუცილებელი საკითხი, რომელსაც მშრომელთა დიდი უმრავლესობა თავისი ბურჟუაზიის სასარგებლოდ გადასჭრის.

ამიტომ განმარტება საკითხის „სამშობლოს დაცვის" შესახებ,—ეს ერთი; შემდეგ ამასთან დაკავშირებით განმარტება საკითხის „პორაჟენცობის" შესახებ და ბოლოს ომის წინააღმდეგ ბრძოლის ერთად ერთი საშუალების,—სახელდობრ, ომის წინააღმდეგ ხანგრძლივი მუშაობისათვის ომში მონაწილე ყველა რევოლუციონერების არალეგალური ორგანიზაციის შექმნის და დაცვის,—განმარტება,—ყველაფერი ეს პირველ რიგში უნდა იქნეს წამოყენებული.

ომის ბოიკოტი—სულელური ფრაზაა. კომუნისტები უნდა წავიდნენ ყოველგვარ რეაქციონურ ომში.

სასურველია თუ გინდ გერმანიის ომის წინა დროინდელი ლიტერატურის მაგალითზე, კერძოთ კი 1912 წ. ბაზელის კონგრესის მაგალითებზე განსაკუთრებით ცხადყოთ, რომ თეორეტიული აღიარება იმის, რომ ომი დანაშაულია, რომ ომი დაუშვებელია სოციალისტებისათვის და სხვა, ცარიელი სიტყვებია იმიტომ, რომ არავითარი კონკრეტულობა საკითხის ასე დაყენებაში არ არის. ვერავითარ სახე წარმოდგენას, თუ როგორ შეუძლია მოგვიახლოვდეს ომი და როგორ ახლოვდება ის, ჩვენ ვერ ვაძლევთ მასას. პირიქით, გაბატონებული პრესა ყოველდღე, აურაცხელ ეგზემპლიარებში ჩქმალავს ამ საკითხს და ავრცელებს მის შესახებ ისეთ სიცრუეს, რომლის წინააღმდეგ სუსტი სოციალისტური პრესა სრულიად უძლურია, მით უფრო, რომ მშვიდობიან დროში ის ამ საკითხის შესახებ არსებითად შემცდარ თვალსაზრისზე დგას. კომუნისტური პრესაც ქვეყნების დიდი უმრავლესობაში შერცხვება აგრეთვე

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს დელეგატებს კოოპერატორების საერთაშორისო და ტრედ იუნიონების კონგრესზე, მართებთ ერთიერთ შორის ამოცანების განაწილება და გარჩევა რაც შეიძლება ვრცლად ყველა იმ ყალბი აზრების, რომლებითაც ამართლებენ ომს ამჟამად.

შესაძლოა, ყველაზე მთავარ საშუალებას მასების ჩასაბმელათ ომში, წარმოადგენენ სწორეთ ის ყალბი აზრები (სოფიზმები), რომლებითაც ბურჟუაზიული პრესა სარგებლობს და ყველაზე მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც ხსნის ჩვენს უძლურებას ომის წინააღმდეგ, წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ამ სოფიზმებს არ ვარჩევთ წინდაწინვე, ან და უფრო მეტი, ვკმაყოფილდებით მათ შესახებ იაფფასიანი, მეტიჩრული და სრულიად ცარიელი ფრაზით, რომ ჩვენ ომს არ დავუშვებთ, რომ ჩვენ სავსებით გვესმის ომის სისაძაგლე და სხვ. 1912 წ. ბაზელის მანიფესტის მიხედვით.

მე ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ ჰააგის კონფერენციაზე გვეყოლება რამდენიმე კაცი, რომლებიც შესძლებენ ამა თუ იმ ენაზე ომის წინააღმდეგ სიტყვის წარმოთქმას, მაშინ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება უარყოფა იმ აზრის, თითქო დამსწრენი ომის წინააღმდეგნი არიან, თითქო მათ ესმით, თუ როგორ შეუძლია მოახლოვდეს და როგორ უნდა ებრძოლოთ ომს, სრულიად მოულოდნელად, თითქოს მათ ოდნავათაც შეგნებული აქვთ ომის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები, თითქოს მათ ოდნავ მაინც შეუძლიათ გადასდგან ომის წინააღმდეგ გონივრული ნაბიჯი, ნაბიჯი, რომელიც მიზანს მიაღწევს.

ახლახან დამთავრებული ომის გამოცდილებასთან დაკავშირებით უნდა განვმარტოთ, თუ რა აურაცხელი თეორეტიული და ყოველდღიური საკითხები დაისმება ომის გამოცხადების მეორე დღეს და ჯარში გაწვეულთა დიდ უმრავლესობას წაართმევს ყოველგვარ შესაძლებლობას მიუდგნენ ამ საკითხებს რამდენიმეთ მაინც სადა გონებით.

მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხს ესაჭიროება განმარტება არაჩვეულებრივად ვრცლად და ის განმარტებული უნდა იქნას ორგვარად:

პირველყოვლისა, უნდა ვუამბოთ და გავარჩიოთ ის, თუ რა იყო წარსული ომის დროს და განვუცხადოთ ყველა დამსწრეებს, რომ მათ ეს არ იციან, ანდა იციან თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს იციან ეს, სინამდვილეში კი თვალს ხუჭავენ იმაზე, რაშიც არის საკითხის მთავარი არსი, რომლის ცოდნის გარეშე ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ამ მუხლის შესახებ მე ვფიქრობ, საჭიროა განხილვა ყველა იმ მიმართულებების, ყველა შეხედულების, რომლებიც რუსეთის სოციალისტებს შორის წარმოიშვენ მაშინ ომის შესახებ. საჭიროა დამტკიცება, რომ ამ მიმართულებათა წარმოშობა შემთხვევითი ხასიათის არ არის, არამედ ისინი წარმოშვა საერთოდ თვით თანამედროვე ომების ბუნებამ. საჭიროა დამტკიცება, რომ ამ შეხედულებათა გარჩევის და იმის განმარტების გარეშე, თუ როგორ გარდაუვალია ამ შეხედულებათა წარმოშობა და როგორ აქვთ მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხისათვის, ასეთი გარჩევის გარეშე არავითარი მზადების შესახებ ომისათვის და თვით შეგნებული დამოკიდებულების შესახებ მისდამი, ლაპარაკიც არ შეიძლება.

მეორე, უნდა ავიღოთ ახლანდელი, თუ გინდ უმნიშვნელო კონფლიქტების მაგალითები და განვმარტოთ ის მაგალითების მოყვანით, თუ როგორ შეიძლება წარმოიშვას ომი ყოველდღე ინგლისსა და საფრანგეთს შორის დავის გამო ოსმალეთთან ხელშეკრულების რაიმე წვრილმანის შესახებ, ან და ამერიკასა და იაპონიას შორის წყნარი ოკეანის შესახებ სრულიად უმნიშვნელო უთანხმოების გამო, ანდა რომელიც გინდათ სხვა სახელმწიფოებს შორის კოლონიალური ანდა მათი საბაჟო ან საერთო სავაჭრო პოლიტიკის გამო და სხვა. მე ვფიქრობ, რომ თუ [illegible] რაიმე ჰააგაში ომის წინააღმდეგ მთელ ტყვის თავისუფლად წარმოთქმის ძლებლობას შესახებ, მაშინ [illegible] რაიმე [illegible] თქვას, თუ [illegible] და. საქმე იქამდე უნდა მივიდ რომ თავმჯდომარემ სიტყვა შ ყვეტინოს. მე ვფიქრობ, რომ მიზნისათვის დელეგაციაში იმ ტორებს გარდა, რომლებიც შე ზენ და ვალდებული არიან სიტყვა ომის წინააღმდეგ საერთ ე ი მოიყვანონ ყველა მთავარ ბუთები და ომის წინააღმდეგ ლის პირობები,—მიწვეული იქნენ ამხანაგები, რომელთაც დინებით სამი მთავარი ენა. ეს ამხანაგები უნდა რონ დელეგატებს და გა ვიან, თუ რამდენით გა მათთვის მთავარი საბუთები და დინათ არის საჭირო ამა თუ იმ გუმენტების ან მაგალითების მო

შესაძლებელია, მთელ რიგ ხებში სერიოზული გავლენის ნა მოხერხდება წარსული ომის ტორიიდან ფაქტიური მაგალით მოყვანით. შესაძლებელია, რომ სხვა საკითხებში სერი გავლენის მოხდენა მოხერხდება ლოდ სახელმწიფოებს შორის [illegible] კონფლიქტების და ლებელ შეიარაღებულ შეტაკებ მათი კავშირის განმარტებით.

ომთან ბრძოლის საკითხის ხებ, მე გაგონილი მაქვს, ჩვენი ნისტი დეპუტატების მთელი განცხადებები როგორც პარ ტებში, ისე სიტყვებში პარ გარეთ, ისეთი ხასიათის განცხ ბი, რომლებიც შეიცავენ სა შემცდარ და საშინლად მიუტ დაუფიქრებელ აზრებს ომთან ბრ შესახებ. მე ვფიქრობ, რომ განცხადებების წინააღმდეგ, კუთრებით, თუ მათ ადგილი დათ უკვე ომის შემდეგ, უნდა ლაშქროთ მთელი სისასტიკი მოურიდებლათ უნდა დავასახ ყოველი ასეთი ორატორის შესაძლებელია ასეთი ორატო სახებ აზრის შერბილება, რო ანგარიშით, განსაკუთრებით, თუ მოდა, მაგრამ დაუშვებელია შემთხვევისათვის დუმილით დის ავლა, ვინაიდან ამ საკით ჩეტი დამოკიდებულება ისეთი ბოროტება, რომელიც ყველა დანარჩენს და რომელთა შეურიგებლობით

არის მუშათა ყრილობების რიგი დადგენილებები, მათლაღ ლეური და მჩატე.

დაუყოვნებლივ უნდა შეიმ ყველა და ყოველგვარი მასალი საფუძვლიანად გაცხიბლით ხის ყველა ნაწილები და ნაწ და მთელი „სტრატეგია" ბაზე.

ჩვენი მხრით კი დანაშაულ ნებით ასეთ საკითხში არა დომა, არამედ საკითხის რაიმე შენელოვანი ნაწილის უყურადღ დატოვებაც.

ვ. ი. ლენ

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ფინეთი

საბჭოთა კავშირის პური ფინეთში.

ჰელსინგფორსი. 3 მაისი. ფინეთში ყოველ დღე შედის საბჭოთა კავშირის პური 60-დან 100 ვაგონის რაოდენობით.

პოლანდია.

მოლაპარაკების შეწყვეტის გამო.

ლონდონი. 3 მაისი. ჰოლანდიის მთავრობის ოფიციალური ცნობის მიხედვით, ჰოლანდიის დელეგატები, რომლებიც აწარმოებდენ მოლაპარაკებას საბჭოთა დელეგატებთან ბერლინში, დაბრუნდენ ჰააგაში, სადაც მთავრობასთან ერთად განიხილავენ იმ საკითხებს, რომლებშიაც შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი გახდა.

ინგლისი.

ლიბერალ ონილის განცხადება.

ლონდონი. 3 მაისი. სიტყვაში თავისი ამომრჩევლების წინაშე ლიბერალმა ონილმა, თემთა პალატის წევრმა, განაცხადა, რომ ინგლისის ბანკირების მემორანდუმმა ძლიერ შეარყია საბჭოთა კავშირის რწმენა, რომ კონფერენცია წარმატებით დამთავრდება. „კონფერენციასო, — განაცხადა ონილმა —მარცხი მოელის თუ გამონახული არ იქნა გამოსავალი ჩიხიდან ვალების საკითხათ რომ შეიქნა, თუ საბჭოთა მთავრობა დასთანხმდება ურთიერთობისადმი ვალების გაუქმებაზე და [illegible] წინადადებებს იმ 186 მილიონი ვანქა სტერლინგის გადახდის ხებ, რომელსაც მოითხოვენ სის ქვეშევრდომები, საბჭოთა რობას დაუყოვნებლივ მიეცემ დიტები".

შვეც

ბერლინი. 5 მაისი. შვეცი სტაგმა მოიწონა რუსეთ-შვ სავაჭრო ხელშეკრულება.

ლენინიზმის საფუძვლების შესახებ

(ამხ. სტალინის ლექციები სვერდლოვის უნივერსიტეტში)

—ამხანაგებო! ლენინიზმის საფუძვლები—ეს მეტად დიდი თემაა იმისათვის, რომ ის ამოვწუროთ ბოლომდი. საჭირო იქნება მთელი წიგნი, კიდევ მეტი—საჭიროა მთელი რიგი წიგნები. ამიტომ ჩემს ლექციაში მე, რასაკვირველია, ვერ ამოვწურავ ბოლომდი ლენინიზმის თემას. ჩემი ლექცია იქნება მხოლოდ ლენინიზმის საფუძვლების მოკლე შინაარსის განმარტება. მიუხედავათ ამისა, მე მაინც სასარგებლოთ მიმაჩნია ამ მოკლე შინაარსის გადმოცემა; ჩემი ლექციის მიზანია დავახასიათო ის ძირითადი გამოსავალი მუხლები, რომლებიც საჭიროა ლენინიზმის შესასწავლათ.

ლენინიზმის საფუძვლების გადმოცემა, ეს კიდევ არ ნიშნავს ლენინის მსოფლმხედველობის საფუძვლების გადმოცემას. ლენინის მსოფლმხედველობა და ლენინიზმის საფუძვლები—ეს ერთი და იგივე არ არის მოცულობის მიხედვით. ლენინი—მარქსისტია და მისი მსოფლმხედველობის საფუძველი, რასაკვირველია, მარქსიზმია, მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს ის, რომ ლენინიზმის გაშუქება უნდა დაიწყოს მარქსიზმის საფუძვლების გაშუქებით. ლენინიზმის განმარტება, ეს ნიშნავს ლენინის იმ ახალი შეხედულებების განმარტებას, რომელიც შეიტანა ლენინმა მარქსიზმის საერთო საგანძურში და რომელიც ბუნებრივათ დაკავშირებულია მის სახელთან. მხოლოდ ამ მხრივ ვლაპარაკებ მე ჩემს ლექციებში ლენინიზმის საფუძვლების შესახებ.

მაშ, რა არის ლენინიზმი?

ზოგიერთები ამბობენ, რომ ლენინიზმი არის მარქსიზმის გამოყენება რუსეთის თავისებურ სინამდვილეში. ეს აზრი უეჭველათ შეიცავს სიმართლეს, მაგრამ ის საბოლოოთ ვერ ამოსწურავს ამ სიმართლეს. ლენინმა მართლაც შეუფარდა მარქსიზმი რუსეთის სინამდვილეს და ის მეტად მოხდენილადაც შეუფარდა. მაგრამ ლენინიზმი რომ მარტო მარქსიზმის შეფარდება იყოს რუსეთის სინამდვილის თავისებურ პირობებთან, მაშინ ლენინიზმი წმინდა ნაციონალური და მხოლოდ ნაციონალური, წმინდა რუსული და მხოლოდ რუსული მოვლენა იქნებოდა. ჩვენ კი ვიცით, რომ ლენინიზმი არის ინტერნაციონალური, საერთაშორისო მოვლენა, და არა მხოლოდ რუსული. აი ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ლენინიზმის ასეთი განმარტება ცალმხრივია.

ზოგიერთები კიდევ ფიქრობენ, რომ ლენინიზმი არის 19 საუკუნის ორმოციან წლების მარქსიზმის რევოლუციონური ელემენტების აღორძინება, შემდეგი წლების მარქსიზმისაგან განსხვავებით, როდესაც მარქსიზმი თითქოს უფრო ზომიერი, არარევოლუციონური გახდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მარქსის მოძღვრების ასეთ სულელურ დაყოფას ორ ნაწილათ, რევოლუციონურათ და ზომიერათ, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ამ დაუმთავრებელი და არადამაკმაყოფილებელ განმარტებაშიც არის სიმართლის ნაწილი. ეს სიმართლის ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ ლენინმა მართლაც განაახლა მარქსიზმის რევოლუციონური შინაარსი, რომელიც მიჩქმალული იყო მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტების მიერ მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია სიმართლის. მთელი სიმართლე ლენინიზმის შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ ლენინიზმმა არა მარტო განაახლა მარქსიზმი, არამედ მან ნაბიჯიც გადასდგა წინ; მან კიდევ უფრო განავითარა მარქსიზმი კაპიტალიზმის და პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის ახალ პირობებში.

მაშ, რა არის ბოლოს და ბოლოს ლენინიზმი?

ლენინიზმი არის იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი, უფრო სწორად რომ ვსთქვათ: ლენინიზმი საერთოდ არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და პრაქტიკა, და განსაკუთრებით კი პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და პრაქტიკა მარქსი და ენგელსი მუშაობდენ წინარევოლუციონურ პერიოდში (ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროლეტარული რევოლუცია), როდესაც ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული იმპერიალიზმი, ისინი მუშაობდენ იმ პერიოდში, როდესაც სწარმოებდა პროლეტარების მომზადება რევოლუციისათვის, იმ პერიოდში, როდესაც პროლეტარული რევოლუცია ჯერ კიდევ არ ყოფილა პირდაპირ პრაქტიკული აუცილებლობა. ლენინი კი, მარქსის და ენგელსის მოწაფე, მუშაობდა განვითარებული იმპერიალიზმის პერიოდში, იმ პერიოდში, როდესაც ვითარდებოდა პროლეტარული რევოლუცია, როდესაც პროლეტარულმა რევოლუციამ უკვე გაიმარჯვა ერთ ქვეყანაში, დაამხო ბურჟუაზიული დემოკრატია და დაიწყო პროლეტარული დემოკრატიის და საბჭოების ხანა.

აი ამიტომ ლენინიზმი არის მარქსიზმის განვითარება.

ჩვეულებრივ აღნიშნავენ მხოლოდ ლენინიზმის განსაკუთრებულ მებრძოლ და განსაკუთრებულ რევოლუციონურ ხასიათს. ეს სრული სიმართლეა. მაგრამ ლენინიზმის ეს თავისებურობა აიხსნება ორი მიზეზით: პირველია ის, რომ ლენინიზმი გამოვიდა პროლეტარული რევოლუციიდან, რომლის კვალი მას უეჭველათ აჩნევია; მეორეა ის, რომ იგი გაიზარდა და განმტკიცდა მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნიზმთან შეჯახების პერიოდში; ბრძოლა მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნიზმთან იყო და არის აუცილებელი წინასწარი პირობა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლის საწარმოებლათ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარქსსა და ენგელსს, ერთის მხრივ, და ლენინს შორის, მეორეს მხრივ იყო მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის უხეში ბატონობის ხანა; ბრძოლა ამ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ აუცილებლათ უნდა გამხდარიყო ლენინიზმის ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანათ.

I.

ლენინიზმის ისტორიული ფესვები.

ლენინიზმი გაიზარდა და ჩამოყალიბდა იმპერიალიზმის პირობებში, როდესაც კაპიტალიზმის წინააღმდეგობებმა უკიდურეს წერტილს მიაღწიეს, როდესაც პროლეტარული რევოლუცია უშუალო პრაქტიკის საკითხათ გახდა, როდესაც მუშათა კლასის რევოლუციისათვის მომზადების პერიოდი დაუკავშირდა და გადავიდა ახალ პერიოდში, როდესაც სწარმოებს პირდაპირი შეტევა კაპიტალიზმზე.

ლენინი იმპერიალიზმს უწოდებდა „მომაკვდავ კაპიტალიზმს". რატომ? იმიტომ, რომ იმპერიალიზმს კაპიტალიზმის წინააღმდეგობა მიჰყავს უკანასკნელ ზღვრამდი, უკანასკნელ საზღვრებამდი, რომლის იქით იწყება რევოლუცია. ამ წინააღმდეგობათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სამი წინააღმდეგობა.

წინააღმდეგობა პირველი—ეს არის წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის. იმპერიალიზმი არის მონოპოლისტურ ტრესტების, სინდიკატების, ბანკების და ფინანსიურ ოლიგარხიის სიძლიერე სამრეწველო ქვეყნებში. ამ ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასის ჩვეულებრივი მეთოდები—პროფკავშირები და კოოპერატივები, საპარლამენტო პარტიები და პარლამენტარული ბრძოლა არ აღმოჩნდენ საკმარისი. ან დანებდი სამოწყალოთ კაპიტალს, იცხოვრე ძველებურათ და დაეშვი ქვევით, ანდა მიმართე ახალ იარაღს—ასე აყენებს საკითხს იმპერიალიზმი პროლეტარიატის მრავალ მილიონ მასების წინაშე. იმპერიალიზმს მუშათა კლასი მიჰყავს რევოლუციისაკენ.

წინააღმდეგობა მეორე—ეს არის წინააღმდეგობა სხვადასხვა საფინანსო წრეებსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართულია ნედლი მასალის წყაროების და სხვისი მიწა-წყლის დაპყრობისაკენ. იმპერიალიზმი არის კაპიტალის გატანა ნედლი მასალის წყაროებისაკენ, გააფთრებული ბრძოლა ამ წყაროების მონოპოლიური დასაკუთრებისაკენ, ბრძოლა უკვე დანაწილებული მსოფლიოს ხელახლა დანაწილებისათვის, ბრძოლა, რომელსაც განსაკუთრებული სისასტიკით აწარმოებენ „მზის ქვეშ ადგილის" მაძიებელი ახალი საფინანსო წრეები და სახელმწიფოები ძველ ჯგუფებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელნიც მტკიცეთ იცავენ უკვე დატაცებულ ქონებას. ეს გააფთრებული ბრძოლა კაპიტალისტების სხვადასხვა ჯგუფებს შორის საგულისხმოა იმით, რომ ის შეიცავს, როგორც აუცილებელ ელემენტს, იმპერიალისტურ ომებს, ომებს სხვისი მიწა წყლის დასაპყრობათ. ეს გარემოება თავის თავად საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ის ნიადაგს უმზადებს იმპერიალისტების დასუსტებას, კაპიტალიზმის პოზიციის შერყევას, პროლეტარული რევოლუციის მომენტის მოახლოვებას და ამ რევოლუციის პრაქტიკულ აუცილებლობას.

წინააღმდეგობა მესამე—ეს არის წინააღმდეგობა ერთ მუჭა გაბატონებულ „ცივილიზაციურ" ერებსა და მსოფლიოს ასეულ მილიონ კოლონიალურ და დაჩაგრულ ხალხებს შორის. იმპერიალიზმი არის უზარმაზარ კოლონიების და დაჩაგრულ ქვეყნების ასეულ მილიონიან მოსახლეობის ყველაზე უფრო თავხედური გაყვლეფა და არაადამიანური ჩაგვრა. უდიდესი მოგების მიღება—ასეთია ამ გაყვლეფისა და ჩაგვრის მიზანი. მაგრამ ამ ქვეყნების ყვლეფის დროს იმპერიალიზმი იძულებულია ააშენოს იქ რკინის გზები, ფაბრიკები და ქარხნები, სამრეწველო და სავაჭრო ცენტრები. პროლეტარების კლასის გამოჩენა, ადგილობრივი ინტელიგენციის ჩასახვა, ნაციონალური თვითშეგნების გამოღვიძება, განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება—ასეთია ამ „პოლიტიკის" აუცილებელი შედეგები. ამას ამტკიცებს რევოლუციონური მოძრაობის გაძლიერება ყველა კოლონიებში და დაჩაგრულ ქვეყნებში. ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატისათვის იმ მხრივ, რომ ის ძირშივე ანგრევს კაპიტალიზმის პოზიციას; კოლონიები და დაჩაგრული ქვეყნები იმპერიალიზმის რეზერვის მაგივრათ ხდებიან პროლეტარულ რევოლუციის რეზერვათ.

ასეთია, საერთოდ, კაპიტალიზმის მთავარი წინააღმდეგობანი, რომლებმაც ძველი „აყვავებული" კაპიტალიზმი გადააქციეს მომაკვდავ კაპიტალიზმათ.

ათი წლის წინათ დაწყებულ იმპერიალისტურ ომის მნიშვნელობა, სხვათა შორის, მდგომარეობს იმაში რომ მან ყველა ამ წინააღმდეგობებს თავი მოუყარა ერთ ნასკვში და დასდო ის სასწორზე, მან ამასთანავე დააჩქარა და გააძლიერა პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლა.

სხვანაირათ რომ ვსთქვათ, იმპერიალიზმმა მიგვიყვანა არა მარტო იმ მდგომარეობამდე, რომ რევოლუცია პრაქტიკულად აუცილებელი გახდა, არამედ მან მიგვიყვანა იქამდის რომ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები იერიშის მისატანათ კაპიტალიზმის ციხე სიმაგრეებზე.

ასეთი საერთაშორისო პირობები, რომლებმაც დაბადეს ლენინიზმი.

ყველაფერი ეს კარგია, გვეტყვიან ჩვენ, მაგრამ რა შუაშია აქ რუსეთი, რომელიც არ ყოფილა და არ შეიძლება ყოფილიყო იმპერიალიზმის კლასიკური ქვეყანა? რა შუაშია აქ ლენინი, რომელიც პირველყოვლისა მუშაობდა რუსეთში და რუსეთისათვის? რატომ სწორეთ რუსეთი გახდა ლენინიზმის კერა, პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის სამშობლო?

იმიტომ, რომ რუსეთი იყო იმპერიალიზმის ყველა ამ წინააღმდეგობათა ურთიერთშორის გადახლართვის პუნქტი.

იმიტომ, რომ რუსეთში უფრო იყო მომზადებული პირობები რევოლუციისათვის, უფრო, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში და ამის გამო მხოლოდ მას შესწევდა ძალა გადაეჭრა ეს წინააღმდეგობანი რევოლუციონური გზით.

დავიწყოთ იქიდან, რომ მეფის რუსეთი იყო კერა ყოველგვარი ჩაგვრის – კაპიტალისტურის, კოლონიალურის, სამხედროსი,—ამ ჩაგვრას ყველაზე უმოწყალო და ბარბაროსული ხასიათი ჰქონდა. ვინ არ იცის, რომ რუსეთში კაპიტალის ძლიერება ყოველთვის ზედ ერთოდა თვითმპყრობელობის დესპოტიზმს, რუსეთის ნაციონალიზმის აგრესიულობა—თვითმპყრობელობის ჯალათობას, არარუს ერების მიმართ, მთელი რაიონების—ოსმალეთის, სპარსეთის, ჩინეთის—ექსპლოატაციას, ამ რაიონების დაპყრობას თვითმპყრობელობის მიერ, ომს ამ რაიონების დასაპყრობათ? ლენინი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ თვითმპყრობელობა არის „სამხედრო ფეოდალური იმპერიალიზმი". თვითმპყრობელობა იყო ცენტრი იმპერიალიზმის ყველა უარყოფითი მხარეების, გაორკეცებული რაოდენობით.

შემდეგ, მეფის რუსეთი იყო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის უდიდესი რეზერვი არა მარტო იმ მნიშვნელობით, რომ ის თავისუფალ ასპარეზს აძლევდა უცხოეთის კაპიტალს, რომელსაც ხელში ეჭირა რუსეთის სახალხო მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის სათბობი მასალისა და ლითონის მრეწველობა, არამედ იმ მნიშვნელობითაც, რომ მას შეეძლო დასავლეთის იმპერიალისტებისათვის დასახმარებლად მიეცა მილიონი ჯარისკაცები. გაიხსენეთ რუსეთის 12 მილიონიანი არმია, რომელიც სისხლს ღვრიდა იმპერიალისტურ ფრონტებზე ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტების ზღაპრულ მოგებათა უზრუნველსაყოფად.

შემდეგ თვითმპყრობელობა იყო იმპერიალიზმის არამარტო ერთგული მცველი ქოფაკი ევროპის აღმოსავლეთში, არამედ ის იყო კიდევ დასავლეთის იმპერიალიზმის საგენტო მოსახლეობისაგან ასეულ მილიონ პროცენტების ასაგლეჯათ იმ სესხებზე, რომლებიც მას ეძლეოდა პარიზში, ლონდონში, ბერლინში და ბრიუსელში.

დაბოლოს, თვითმპყრობლობა იყო დასავლეთის იმპერიალიზმის ერთგული მოკავშირე ოსმალეთის, სპარსეთის, ჩინეთის და სხვ. გაყოფაში. ვინ არ იცის, რომ იმპერიალისტურ ომს თვითმპყრობელობა აწარმოებდა ანტანტის იმპერიალისტებთან შეთანხმებით, რომ რუსეთი ამ ომის არსებითი ელემენტი იყო?

აი რატომ იყო გადახლართული ერთმანეთთან თვითმპყრობელობისა და დასავლეთის იმპერიალიზმის ინტერესები და ბოლოსდაბოლოს თავს იყრიდენ იმპერიალიზმის ინტერესების ერთიან კვანძში. შეეძლო თუ არა დასავლეთის იმპერიალიზმს შერიგებოდა აღმოსავლეთში ასეთი ძლიერი დასაყრდენობის და ძალებისა და საშუალებების ასეთი მდიდარი წყაროს დაკარგვას, როგორიც იყო ძველი, მეფური ბურჟუაზიული რუსეთი ისე, რომ არ გამოეცადა თავისი ძალები სამკვდრო-სასიცოცხლო ომში რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ თვითმპყრობელობის გასამაგრებლად და დასაცავად? რასაკვირველია არ შეეძლო.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ვისაც სურდა დაეპყრო მპყრობელობა, ის აუცილ ბრძოლას უცხადებდა იმპერი ვინც ილაშქრებდა თვითმპყრ ბის წინააღმდეგ, უნდა აჯანყ ყო იმპერიალიზმის წინააღ ვინაიდან ვინც ამხობდა თვითმ ბელობას, მას უნდა დაემხო რიალიზმიც, თუ ის მართლა ფიქ არა მარტო დაემხო თვითმ ბელობა, არამედ მიეღწია ის ლოოდ. რევოლუცია თვითმპყ ლობის წინააღმდეგ უახლოვდე და ამრიგათ, უნდა გადაექც რევოლუციით იმპერიალიზმ ნააღმდეგ, პროლეტარულ რევ ციათ.

ამავე დროს, რუსეთში იწყ უდიდესი სახალხო რევოლ რომლის სათავეში იდგა მსოფ ყველაზე უფრო რევოლუციო პროლეტარიატი, რომელსაც განკარგულებაში ისეთი სერი მოკავშირე ყავდა, როგორც რუ რევოლუციონური გლეხობა. რაღა განა იმის მტკიცება, ასეთი რევოლუცია ვერ შეჩ ბოდა შუა გზაზე, რომ ის იმ ხვევაში, თუ გაიმარჯვებდა, წასულიყო წინ, აეფრიალებინა რიალიზმის წინააღმდეგ აჯან დროშა?

აი რატომ უნდა გამხდარიყ სეთი იმპერიალიზმის წინააღ ბათა გადახლართვის პუნქტ მარტო იმ მნიშვნელობით, წინააღმდეგობანი ყველაზე აღვილათ იჩენდენ თავს რუსეთში მათი განსაკუთრებ [illegible] და განსაკუთრებით მ ნელი ხასიათის გამო და არა იმიტომ, რომ რუსეთი იყო თის იმპერიალიზმის უმნიშვ ნესი დასაყრდენობი, რომელ თებდა დასავლეთის ფინანსი პიტალს აღმოსავლეთის კოლ თან, არამედ იმიტომაც, რომ სეთში არსებობდა რეალური რომელსაც შეეძლო რევოლუ ნური გზით გადაეჭრა იმპერი მის წინააღმდეგობანი.

მაგრამ აქედან გამომდინარე რომ რუსეთის რევოლუცია არ ძლებოდა არ გადაქცეულიყო ლეტარულ რევოლუციათ, რომ არ შეეძლო თავისი განვით პირველივე დღეებში არ მიეღ

პირველი მაისი ბურჟუაზიულ ქვეყნებში

ინგლისი

კარლ მარქსის საფლავზე

ლონდონი. 2 მაისი. დილით, 1 მაისს, საბჭოთა დელეგაციამ საბჭოთა ახალშენის მცხოვრებთა თანხლებით ინახულა მარქსის საფლავი. რაკოვსკიმ საფლავზე დასდო გვირგვინი; გვირგვინს ამშვენებდა ნამგალი და ჩაქუჩი და შემდეგი წარწერა: „უდიდეს მებრძოლს მთელი მსოფლიოს მუშათა საქმისათვის საბჭოთა ქვეყნის გუნდისაგან“. ამხ. რაკოვსკიმ გვირგვინს მიაკრა ცაკის სახით. პრეობრაჟენსკიმ საფლავზე წითელი ვარდებიდან გაკეთებული გვირგვინი სოციალისტური აკადემიის და მარქსის და ენგელსის ინსტიტუტის სახელით.

იაპონია

რევოლუციონური ლოზუნგებით.

ტოკიო. 2 მაისი. ტოკიოში პირველ მაისს ათი ათასზე მეტი მუშა შეიკრიბა სანადოის მაღლობებზე. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა ალყა შემოარტყეს მაღლობებს, მუშები წითელი დროშებით გაემართნენ მთავარი ქუჩებით. ქალაქი ზეიმის ელფერით, ხალხით სავსე იყო ქუჩები. მუშების რიგები მიდიოდნენ რევოლუციონური სიმღერებით. მიღებულ რეზოლუციაში მუშები მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს, მუშების სახელმწიფო დაზღვევას და აცხადებენ, რომ მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზანია ახალი სოციალური წყობილების დამყარება.

იოკოჰამაში ქუჩაში დემონსტრაციების აკრძალვის გამო, მუშებმა მიტინგი დახურულ შენობაში მოაწყვეს.

ოსაკაში. ქუჩაში გამოვიდა ათი ათასი მუშა. მუშებს ჰქონდათ წითელი დროშები და მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

კიოტოში. მუშათა დემონსტრაციებში მონაწილეობას იღებდა 2000 კაცი.

ოსმალეთი

ესალმებიან რუსეთის პროლეტარიატს.

სტამბოლი. 2 მაისი. ოსმალეთის პოლიციამ აკრძალა საპირველმაისო დემონსტრაციები. მუშების საზეიმო კრებამ, რომელიც დახურულ შენობაში გაიხსნა, მისალმებით მიმართა რუსეთის პროლეტარიატს.

დემონსტრაციები ანგორაში

ანგორა. 2 მაისი. პირველი მაისის დემონსტრაციები გაიმართა ქალაქის მთავარ ქუჩებზე. საღამოს გაიმართა მუშათა წარმომადგენლები და საღამოები.

ლატვია

სოციალ დემოკრატები და პირველი მაისი

რიგა. 2 მაისი. პირველი მაისი მშვიდათ ჩატარდა. მანიფესტაციები აკრძალული. სოციალ დემოკრატებმა მთავრობის ფრაქციებთან ბრძოლის შემდეგ, გამოაქვეყნეს მოწოდება მუშებისადმი—გამოვიდნენ ქუჩებში.

მონღოლეთი

ურგა. 2 მაისი. მონღოლეთის ჯარების მონაწილეობით, სახალხო პარტიის, პოლიტიკური და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაცია. საღამოს გაიმართა საზეიმო სხდომა მონღოლეთის მთავრობის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის მონაწილეობით.

ავსტრია

მშვიდობიანი დღესასწაული

ვენა. 2 მაისი. პირველი მაისის დღესასწაულს ვენაში მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. მანიფესტაციები დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა. საბჭოთა მისიის შენობაში, რომელიც მორთული იყო დროშებით, გაიმართა ზეიმი მოწვეულ სტუმრების თანდასწრებით.

ლიტვა

მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა ..

კოვნო, 2 მაისი. მუშათა დღესასწაულის ჩაშლის მიზნით, ხელისუფლებამ დანიშნა ხეების დარგვის და ვილნის დაარსებიდან 600 წლის შესრულების დღესასწაული. მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშებმა მაინც მოაწყვეს დემონსტრაცია და ინტერნაციონალის სიმღერით და წითელი დროშებით ჩაიარეს ქალაქის მთავარ ქუჩებზე. მათი ლოზუნგი იყო: „ძირს მილიტარიზმი, გაუმარჯოს კომუნიზმს! გაუმარჯოს მუშათა დღესასწაულს!“ მილიციის რაზმმა გზა გადაუღობა დემონსტრანტებს, პოლიციელებმა ასტეხეს სროლა; დატუსაღებულია 150 კაცი. სროლის დროს არავინ დაჭრილა.

იტალია

პირველი მაისი „მუსოლინიაში“

რომი. 4 მაისი. საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა ქალაქების პრეფექტებიდან მიღებულ ცნობებით იტალიის სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო მუშების უმრავლესობა მუშაობდა პირველ მაისს.

პარიზი. 4 მაისი. რომში დაატუსაღეს 2 დეპუტატი კომუნისტი, რომლებიც შეეცადნენ პარლამენტის შენობაზე წითელი დროშა აეფრიალებინათ. კომუნისტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.

გერმანია

სისხლიანი მაისი.

ბერლინი. 4 მაისი, ჰინდენბურგიდან (ზემო სილეზია) იუწყებიან, რომ იქ დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის სისხლის მღვრელი შეტაკება მოხდა.

კომუნისტების [illegible]

ბერლინი. 4 მაისი, ბერლინის პოლიციამ საჩქარო ზომები მიიღო კომუნისტების დემონსტრანტების არდაშვებისათ.

საბერძნეთი

„რესპუბლიკანური“ მთავრობა და პირველი მაისი.

პარიზი. 4 მაისი. ათინაში კომუნისტების მანიფესტაციის დროს დაიჭირა 17 კაცი. გაფიცვა არ მოხერხდა.

საფრანგეთი

„უინციდენტოთ“

რომი. 4 მაისი. პარიზში მიღებულ ცნობით მთელს საფრანგეთში პირველი მაისი „უინციდენტოთ“ ჩატარდა. პარიზში კრების შემდეგ მუშები ქვებს ესროდნენ ტრამვაის. არის დაჭრილები. დატუსაღეს მრავალი მუშა.

ბელგია

პოლიციის მფარველობის ქვეშ.

პარიზი. 2 მაისი 1 მაისს ბრიუსელში ადგილი ჰქონდა ტრადიციულ სოციალისტურ ცერემონიას, დემონსტრანტებს იცავდა პოლიცია.

ამერიკა

ნიუ-იორკში.

ნიუ-იორკი. 2 მაისი. ამერიკის სატახტო ქალაქში 1 მაისს გაიმართა დიდი მანიფესტაცია. მუშაობა შეწყდა; თითქმის მთელს სახელმწიფოში გაზეთები არ გამოსულა.

პანამაში

ნიუ-იორკი 2 მაისი. პანამის მუშებმა პირველ მაისს მოაწყვეს მასიური მანიფესტაციები. დაკეტილი იყო სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები და მაღაზიები.

კანადაში

პირველი საბჭოთა დროშა ამერიკის კონტინენტზე.

ნიუ იორკი 2 მაისი კანადაში 1 მაისს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის შენობაზე აღმართულ იქნა საბჭოთა დროშა, პირველად ამერიკის კონტინენტზე.

ნორვეგია

ემზადებიან.

ქრისტიანია, 2 მაისი. პირველ მაისს მოსალოდნელ დიდ დემონსტრაციების გამო, მთავრობამ ტრონტგეიმის სამხედრო ნაწილებს დაურიგა საომარი ვაზნები.

ჩეხო-სლოვაკია

კომუნისტური დემონსტრაცია

პრაგა. 2 მაისი. საპირველმაისო დემონსტრაციებს შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო კომუნისტური დემონსტრაცია, რომლის ლოზუნგი იყო მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნა. პოლიცია ართმევდა მანიფესტანტებს წითელ დროშებს და პლაკატებს.

ესტონეთი

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დაჭერის ლოზუნგით.

რეველი. 2 მაისი. მიუხედავად იმისა, რომ წინა დღით მოახდინეს დაპატიმრება, 1 მაისს მუშების დემონსტრაცია იყო მრავალრიცხოვანი. დემონსტრაციის ლოზუნგი იყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დაჭერა. მუშათა დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე სხვა ქალაქებშიაც.

ურთიერთობა ამერიკასთან

შეერთებული შტატები მფარველობას უწევდნენ კოლჩაკს.

ნიუ-იორკი. 1 მაისი. სამხედრო სამინისტროს მდივანმა ვიქსმა განაცხადა სენატში, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ 1919 წ. აგვისტოში მიჰყიდა კოლჩაკს ამუნიცია და ვილსონმა მოიწონა კოლჩაკისათვის იარაღის ნისიად მიცემა, შეერთებულმა შტატებმა მიაწოდეს კოლჩაკს 200,000 ვინტოვკა, 18 მილ. ვაზნა და 100 ზარბაზანი.

სხვადასხვა ამბები

● **აჯანყება კუბაზე.** გავანიდან მიღებულ ცნობებით სენტა-კლარის პროვინციაში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა დაიკავეს ქალაქის თვითმართველობა სენხუანში.

პრეზიდენტმა კოლიჯმა აკრძალა იარაღის შეტანა კუნძულ კუბაზე, საიდაც მდგომარეობა რთულდება.

მოძრაობა მთელს კუნძულს მოედო. რეგულიარული ჯარის ნაწილები აჯანყებულებს მიემხრნენ. სენტ-იაგოს გუბერნატორი მოკლულია.

წესრიგის აღსადგენათ მთავრობამ ფლოტი გაგზავნა.

● **აფეთქება მაღაროში.** ვირგინიის შტატში (ამერიკა) აფეთქება მოხდა მაღაროში. მიწაში დარჩა 160 კაცი.

ჯერ ჯერობით ამოიღეს 111 გვამი. დანარჩენების ბედი არ იციან.

თაშორისო ხასიათი, რომ მას არ შეეძლო, ამრიგათ, არ შეერყია მსოფლიო იმპერიალიზმის თვით საძირკველები.

შეეძლოთ რუსეთის კომუნისტებს ასეთ პირობებში დაკმაყოფილებულიყვნენ რუსეთის რევოლუციის ვიწრო ნაციონალური ფარგლებით? რასაკვირველია, არა! პირიქით, მთელი მდგომარეობა, როგორც შინაური (ღრმა რევოლუციონური კრიზისი), ისე საგარეო (ომი) უკარნახებდა მათ თავის მუშაობაში გამოსვლას ამ ფარგლებიდან, ბრძოლის გადატანას საერთაშორისო ასპარეზზე, იმპერიალიზმის ყველა უარყოფითი მხარეების გამომჟღავნებას კაპიტალიზმის კრახის აუცილებლობას, სოციალ-შოვინიზმისა და სოციალ-პაციფიზმის დამარცხებას, დაბოლოს მთელს სახელმწიფოში კაპიტალიზმის დამხობას და პროლეტარიატისათვის ბრძოლის ახალი იარაღის გამოჭედვას იმისათვის, რომ მთელი ქვეყნის პროლეტარებისათვის გაადვილებინათ კაპიტალიზმის დამხობა. რუს კომუნისტებს სხვანაირად არც შეეძლოთ მოქცეულიყვნენ, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა იმედის დაჭერა, რომ საერთაშორისო მდგომარეობაში მოხდება რამე ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ რუსეთს ბურჟუაზიული წესების აღდგენისაგან.

აი რატომ გახდა რუსეთი ლენინიზმის კერათ, რუს კომუნისტების ბელადი ლენინი კი—მისი შემოქმედი.

რუსეთს და ლენინს აქ „მოუვიდათ“ დაახლოვებით ის, რაც გერმანიას და მარქს-ენგელს წარსული საუკუნის ორმოციან წლებში. გერმანიაში მაშინ, როგორც რუსეთშიაც მეოცე საუკუნის დასაწყისში, მოსალოდნელი იყო ბურჟუაზიული რევოლუცია. მარქსი მაშინ „კომუნისტურ მანიფესტში“ სწერდა, რომ:

„კომუნისტები თავის მთავარ ყურადღებას აქცევენ გერმანიას, რადგან ის იმყოფება ბურჟუაზიული რევოლუციის წინ; გერმანია ამ გადატრიალებას მოახდენს ევროპიული ცივილიზაციის უფრო პროგრესიულ პირობებში და უფრო განვითარებული პროლეტარიატით, ვიდრე ეს იყო ინგლისში 17 და საფრანგეთში 18 საუკუნოებში გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუცია, ამიტომ, შეიძლება იყოს პროლეტარული რევოლუციის უშუალო შესავალი“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, რევოლუციონური მოძრაობის ცენტრი გადადიოდა გერმანიაში.

ეჭვს გარეშეა ის, რომ სწორეთ ეს გარემოება, რომელიც აღნიშნულია მარქსის მიერ ზემომოყვანილ ამონაწერში, შეიქნა მიზეზი იმის, რომ სწორეთ გერმანია გახდა მეცნიერული სოციალიზმის სამშობლოთ. გერმანიის პროლეტარიატის ბელადები მარქსი და ენგელსი კი მის შემქნელათ.

იგივე უნდა ითქვას რუსეთის შესახებ; ასეთივე მდგომარეობა იყო რუსეთში 20 საუკუნის დასაწყისში. რუსეთი ამ პერიოდში ბურჟუაზიული რევოლუციის წინ იმყოფებოდა, მას უნდა მოეხდინა ეს რევოლუცია ევროპაში უფრო პროგრესიული პირობების არსებობის დროს და უფრო განვითარებული პროლეტარიატით, ვიდრე გერმანია (ინგლისზე და საფრანგეთზე ლაპარაკი ზედმეტია. ამასთანავე ყველა საბუთები ლაპარაკობდენ იმას სასარგებლოთ, რომ ეს რევოლუცია უნდა ყოფილიყო პროლეტარული რევოლუციის შესავალი. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ლენინი ჯერ კიდევ 1902 წელში, როდესაც რუსეთის რევოლუცია მხოლოდ იწყებოდა, თავის ბროშურაში, რომელსაც ერქვა „რა ვქნათ“, სწერდა იმის შესახებ, რომ:

„ისტორიამ რუსეთის მარქსისტების წინაშე წამოაყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველა ქვეყნების პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანებზე უფრო რევოლუციონური ამოცანაა; ამ ამოცანის განხორციელება და არა მარტო ევროპიული, არამედ აზიური რეაქციის ყველაზე უფრო ძლიერი დასაყრდენის დამხობა, რუსეთის პროლეტარიატს გახდიდა საერთაშორისო რევოლუციონური პროლეტარიატის მოწინავე რაზმათ“.

სხვანაირათ რომ ვსთქვათ, რევოლუციონური მოძრაობის ცენტრი გადატანილი უნდა ყოფილიყო რუსეთში.

ცნობილია, რომ რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში გაამართლა ლენინის ეს წინასწარმეტყველება.

და რა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ ის ქვეყანა, რომელმაც მოახდინა ასეთი რევოლუცია და რომელსაც ჰყავს ასეთი პროლეტარიატი, გახდა პროლეტარული რევოლუციის თეორიის და ტაქტიკის სამშობლოთ?

და რა გასაკვირია ის, რომ ამ პროლეტარიატის ბელადი, ლენინი, გახდა ამასთანავე ამ თეორიის და ტაქტიკის შემოქმედი და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი?

(გაგრძელება იქნება)

პარტიული ცხოვრება

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას

სენაკის პარტკონფერენციის მისალმება საქართველოს კომპარტიის ცეკას

სენაკის სამაზრო მე 4-ე პარტკონფერენცია მხურვალეთ გესალმებათ თქვენ, რომელთა გამოცდილი და სწორი ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველომ შედარებით მოკლე ხანში მიაღწია ისეთ დიდ წარმატებას თავის ცხოვრების ყოველ დარგში, რომელთა გავლენით საქართველოს მშრომელთა მასების იმ ნაწილმაც კი, რომელიც მენშევიკებს და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებს მისდევდა, სრულებით და საბოლოოთ შეიქცია მათ ზურგი და მტკიცეთ დადგა რევოლუციის ცეცხლში გამოწრთობილ კომუნიზმის წითელ დროშის ქვეშ.

სენაკის ორგანიზაცია ყოველთვის მტკიცედ იდგა მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე,—მტკიცედ, პირდაპირ და ერთსულოვნობით ატარებდა პარტიის ცეკას ხაზს, იდგა რა შორს და კიცხავდა რა ყოველგვარ გადახრას პარტიის ხაზისგან და შინაპარტიულ უთანხმოებას, რითაც დროგამოშვებით დაავადებული იყო ჩვენი პარტია.

მე 4 კონფერენცია, არის რა ღრმათ დარწმუნებული, რომ პარტიის მთლიანობა ძირითადი პირობაა მისი ძლევამოსილი განვითარებისა და ახალ გამარჯვებებისა ფიცს სდებს მომავალშიც შორს იდგეს ყოველგვარი გადახრისაგან და შინაპარტიული უთანხმოებისაგან დაიცავს რა თავის რიგების სრულ მთლიანობას.

ძირს ყოველგვარი გადახრა და შინაპარტიული უთანხმოება!

გაუმარჯოს კომპარტიის მთლიანობას.

სენაკის მე 4 სამაზრო პარტკონფერენციის პრეზიდიუმი.

ფოთის მე-5 პარტ-კონფერენცია

28 აპრილს გაიხსნა ფოთის ორგანიზაციის მე-5-ე ლეგალური კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 48 ამხანაგი. კონფერენციას ხსნის სრულ 6 საათზე ფოთის ორგანიზაციის პ | მკ. მდივანი ამხ. პ. მეგრელიშვილი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: კახიანი, მეგრელიშვილი, გოგია, ლომთათიძე და მეუნარგია.

სამდივნოში პრ. კეკელიძე, რ. შტეინბერგი და თუნთია. სამანდატო კომისიაში: 1) მ თარგამაძე 2) ლ. ბახუშვილი, 3) თ. ქვანია.

მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ.
2. პარტკომის ანგარიში:
   ა. კომკავშირის ანგარიში.
   ბ. ურთიერთ დამხმარე კასის თანამოხსენება.
   გ. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საბჭოთა აღმშენებლობა.
4. არჩევნები და 5. მიმდინარე საკითხები.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. კახიანი, რომელიც ეხება ბესარაბიის საკითხს, და აღნიშნავს, რომ ბესარაბიის შეერთებას რუმინეთთან ჰქონდა ძალადობითი ხასიათი.

ეხება რა ვენის კონფერენციის მუშაობას და მის შედეგებს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციას არ შეეძლო ბესარაბიის საკითხის დადებითად გადაჭრა, მის ჩაშლას სცდილობდა საფრანგეთი და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

ლონდონის კონფერენციის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციას საბჭოთა მთავრობა დიდი ყურადღებით ეპყრობა. კონფერენციაზე გაგზავნილია ჩვენ მიერ საუკეთესო ძალები და მოსალოდნელია, რომ კონფერენცია ჩატარდება სრულებით ნორმალურად და საბჭოთა მთავრობის სასარგებლოთ.

შემდეგ ამხ. კახიანი ეხება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შინაურ მდგომარეობას და აღნიშნავს იმ გაუმჯობესებას, რომელიც მიღწეულია უკანასკნელი წლის განმავლობაში კონფერენციის მიერ ამხ. კახიანის მოხსენების გამო მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის სწორი პოლიტიკა როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო საკითხებში.

კომკავშირის ფოთის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს ამხ გ. ჯიბლაძე, 7 თვის განმავლობაში ორგანიზაცია გაიზარდა; მას მოემატა 70 ახალგაზრდა მუშა. ამჟამად ორგანიზაციაში ირიცხება 252 წევრი და 9 კანდიდატი, არსებობს 17 უჯრედი, აქედან 9 ქალაქად, სადაც სისტემატიურად ტარდება ერთიანი კავშირის დღე. დეკემბერში ჩატარებული იქნა პოლიტგამოცდები და აგრეთვე მოწვეული იქნა სამაზრო კურს. ყრილობა. ორგანიზაციაში ირიცხება 7 სხვადასხვა გვარი პოლიტ განმანათლებელი წრე, მეცადინეობა ცოტათი შეფერხებულია მომზადებულ ამხ. უყოლობის გამო. პარტიასთან დამოკიდებულება კარგია. შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. მეგრელიშვილის მოხსენება პარტკომის 6 თვის მუშაობის შესახებ, რომელიც ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

ფოთის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბ. გოგია, 1924 წელი ფრიად სასურველი და ხელშემწყობი წელია საბჭოსთვის. დაწყებულია ასეთი დიდი საქმე ფოთისთვის, როგორიც არის რკინისგზის ხიდის გაკეთება, დიზელების შეკეთება და სხვა, რასაც აუარებელი თანხა სჭირდება. ყოველივე ამ საქმეში საბჭოს და ხ[illegible] უწევს ნივთიერ [illegible].

კონფერენციამ თავის რეზოლუციაში მოიწონა საბჭოს მუშაობა.

დასასრულ მოხდა არჩევნები: ფოთის კომიტეტში არჩეულ იქნენ: ლომთათიძე გიგო, გოგია ბესარიონ, გ. მეუნარგია, მეგრელიშვილი, შ. ჯალაღანია, მიმინოშვილი გ., ქუჩასელი ვლადიმერი, ჰოჰუა ვასო და ლევან ბახუშვილი.

კანდიდატებად: კეკელიძე, უჩანეიშვილი ელ. და თოფურია ვასილი.

სარევიზიო კომისიაში: ხუხია ზოსიმე, თურქია და თარგამაძე

საქართველოს კომპარტიის მე 3-ე ყრილობის დელეგატებათ: გოგია ბ., ლომთათიძე გიგო, ლეჟავა შამშე, მეგრელიშვილი პ. და ჯალაღანია შალვა.

სათათბირო ხმით: გრ. მეუნარგია.

სამტრედია

ხუთშაბათს, 17 აპრილს შესდგა სამი ადგილობრივი უჯრედის გაერთიანებული კრება, რომელზედაც საშეფო კომისიის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ბოხუამ. ხაზი გაუსვა რა გლეხობის კულტურულ ჩამორჩენილობას, აღნიშნა, რომ ისე გადის დღეები, რომ ზოგიერთი სოფლის გლეხობა ერთ გაზეთსაც ვერ წაიკითხავს და მატერიალურ სიდუხჭირესთან ერთად მას კულტურული ცხოვრების დაშორებაც აბეჩავებს და ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვენს თემებში უხვად აქვს გასავალი სხვადასხვა სახის პროვოკაციას და ცრუ ხმებს.

სამტრედიაში მოიპოვება ისეთი დაწესებულებები, რომლებსაც შეუძლიათ კულტურული ხელმძღვანელობა და ზრუნველობა გაუწიონ გლეხობას. წინადადებას იძლევა არჩეულ იქნეს ცენტრალური საშეფო კომისია, რაც მიღებულ იქნა კრების მიერ.

კომისიაში არჩეულ იქნა 9 ამხანაგი სამ სამი თითო უჯრედით იმედი გვაქვს, რომ პარტკომის ხელმძღვანელობით ამხანაგები პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და შესძლებენ გლეხობის კულტურული დონის ამაღლებას.

ხან კანი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(6 მაისი)

ჩერვონეცი—126 მილიარდი მან.

ჩერვონეცით

გირვ. სტერლინგ. ფული	8 მ. 52 კ.
„ ჩეკები	— 7 მ. 50 ნახ. კ
დოლარი ფულ.	— 1 მ. 94.5 კ.
„ ჩეკები	— 1 მ. 78 კ.
ოსმ. ქაღ. ლირა ფუ.	— 90 კ.
იტალ. ლირა 100 ცალი	8 მან.
ფრანკ. ფრან. 100 ცალი	9 მ. 40 კ.
ოქროს მანეთი	125 მილიონი.

[illegible] ფასები

(5 მაისი)

პური 2 ხარ.—5,5 კაპ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინადი—33 კაპ., შაქარი ფხვნილი—26,5 კ., ბრინჯი ადგილ.—15 კ., კარტოფილი—2,5 კაპ., მაკარონი 16 კ. ფქვილი თეთრი 10 კ. საპონი „ტოილე“ 22 კ., ლობიო—3,5 კ.

თბილისის ბაზრის ფასები

(5 მაისი)

პური 1 ხარ. - 8 კაპ., პური 2 ხარ.—6 კ., შაქარი რაფინადი—33—34 კაპ., შაქარი ფხვნილი 26—27 კაპ. ბრინჯი ადგ.—18 კაპ., ძროხის ხორცი 30 კ. მაკარონი—18 კ. კარტოფილი—4 კაპ.

ბირჟის მიმოხილვა

„ქიმუგოლ“-ის პროდუქცია, კანიფოლი, ნამგლები და ცელები, (ავსტრიული), აბრეშუმის პროდუქცია, (ფრიზონი, გრეჟი და სხვა), „ცენტროტორგ“-ის პროდუქცია, ჩაი ცეილონის და ჩინეთის, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, სახ. მეურნ. საბჭოს საფეიქრო და საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.), კარტოფილის ფქვილი, ტომრები, „ურალმეტ“-ის პროდუქცია,

კაუსტიური სოდა, მათეთრა (რბილი), მზესუმზირას ზეთი, სალომასი, ქლორის კირი, ნიშადური, გასალეწავი მანქანები.

ბირჟის მოთხოვნილება

ნაფტალინი, რუს. და უცხოეთის, ნარმა და მიტკალი, თუშური მატყლი, ნედლი, ტყავეულობა, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, ქვა მარილი ნაჩ., გოგირდი, (ფხვნილი), ადგილობრივი ფქვილი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ახალი ტომრები.

ქრონიკა

■ **სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევთათვის.** მიმდინარე წლის მარტის განმავლობაში ადმინისტრატიულ დადგენილებათა დამრღვევისათვის დადებულ ჯარიმებიდან ქალ. აღმასკომის სალაროში შემოვიდა 4930 მან.

■ **მიწის რეფორმა.** მიწის რეფორმის ჩატარება უკვე დასრულდა თბილისის მაზრის 152 სოფელში, სადაც მიწის კომიტეტებმა მემამულეთ ჩამოართვა 13.904 დესეტინა მიწა.

■ **წიგნები ხევსურეთის სკოლებისათვის.** განათლების კომისარიატმა ხევსურეთის სკოლებისათვის 1 მაისის დღესასწაულზე დასასწრებლათ ჩამოსულ ხევსურელების წარმომადგენლებს გადასცა საკმაო რაოდენობა სახელმძღვანელო წიგნების და აღუთქვა შემდეგში მუდმივი დახმარება წიგნებით და სასკოლო ნივთებით.

■ **წითელი დროშა ელექტრო-ტექნიკუმს.** 1 მაისს ელექტრო-ტექნიკუმის დაარსებიდან 1 წლის შესრულების გამო ფოსტა ტელეგრაფის მუშაკთა კავშირმა გადასცა აღნიშნულ ტეხნიკუმს წითელი დროშა.

■ **ბამბის ნათესების სივრცე.** წარმოკავშირის შედგენილ გეგმით მიმდინარე წელს ბამბის დასათესი სივრცე განსაზღვრულია 2,500 დესეტინა მიწით, ამათ შორის 2000 დესეტინა ბორჩალოში და 500 კახეთში.

■ **ბინების აღრიცხვა,** ქ. აღმასკომმა დღემდე აღრიცხა 3,600 კერძო საცხოვრებელი სახლი, რომლებშიაც არის 24.631 ბინა, ბინების უმრავლესობა ერთ ოთახიანია.

■ **ღვინის გადამუშავება სპირტად.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა 100 ათასი ვედრო ღვინო გადაამუშავოს სპირტად.

■ **სოფელი „მაისი“.** სოფელ მარტყოფის (გარე კახეთის) მცხოვრებლებმა 1 მაისის საზეიმო კრებაზე გადასწყვიტეს სოფ. მარტყოფს 1 მაისის აღსანიშნავად უწოდონ მარტყოფის მაგიერ მაისი.

■ **თელავის გლეხკომების სამაზრო ყრილობა.** 11 მაისს თელავში გაიხსნება თელავის მაზრის გლეხთა კომიტეტების სამაზრო ყრილობა.

■ **ამინდები კახეთში.** უკანასკნელ ხანს კახეთში (განსაკუთრებით სიღნაღის მაზრაში) სიცხეები დაიჭირა, რაც საფრთხეს უმზადებს ნათესებს და ხეხილს, რომლებსაც წელს კარგი პირი უჩანს.

■ **მაშხალები სეტყვის წინააღმდეგ.** სოფ. ბაკურციხის, კარდანახის და ანაგას მცხოვრებლებმა შეიძინეს დიდძალი მაშხალები (რაკეტები) სეტყვასთან საბრძოლველათ.

■ **ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 8 მაისს, საღამოს 8 საათ. რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში შესდგება საზოგადოების წევრთა მორიგი კრება, წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებანი: 1. პროფ. თიკანაძის საშოს თანდაყოლილი უქონლობა და მისი ხელოვნურათ აღდგენა, 2. ექ. ს. ვირინოვასი: ორსულობა ორმაგ საშვილოსნოში, 3. ექ. ნ. ტურიაშვილის: გლიკოგენი საშოს კედელში.

■ **მიწების გადაცემა გლეხებზე.** თბ. მაზრაში მიწის რეფორმის გამტარებელმა კომისიამ უმიწო-წვრილ გლეხებს გადასცა 16,512 დესეტინა მიწა.

■ **მუშათა სახლები.** ქ. აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს განკარგულებაში მყოფ მუშათა სახლებში ამ ჟამად სცხოვრობენ 8,678 პროფკავშირის წევრები და 1,180 გარეშე პირნი.

■ **ქალაქის სასაკლაო.** ქ. სამრიცხვო სამმართველოს ცნობით მარტის განმავლობაში ქალ. სასაკლაოზე დაიკლა 3108 სული საქონელი.

■ **საქ. ექიმთა სამეცნიერო ყრილობა.** 18 მაისს თბილისში გაიხსნება საქართველოს ექიმთა სამეცნიერო ყრილობა. ყრილობაზე უმთავრესად განხილული იქნება ციებ-ცხელებასთან და ჭლექთან ბრძოლის საკითხები.

■ **გამოსახლება.** ჯანმრთელობის კომისარიატის სამკ. განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე, რათა საავადმყოფოს შენობიდან გამოსახლებულ იქნას გარეშე პირები.

■ **ა | კ. შინაგან ვაჭრობის კომისარიატის დაარსება.** ა | კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა მიიღო გეგმა დადგენილებისა ამ | კ. რესპუბლიკებში შინა ვაჭრობის კომისარიატის დასაარსებლათ.

■ **საერთაშორისო რევოლუციის დამხმარე კომიტეტი.** საერთაშორისო რევოლუციის დამხმარე კომიტეტის საქართველოს განყოფილებას პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ.—ა. გეგეჭკორი (თავმჯდ.), კვირიკაძე, დ. კანდელაკი, რუხაძის და ს. ქურიძის შემადგენლობით.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 28 აპრილს ღამის 11 საათზე ვერის დაღმართი № 17. გაქურდულ იქნა მოქ. აზარბეგ ხაჩატურის ძე არუთინოვის ბინა, წაღებულია ნივთები და ტანისამოსი, ღირებულება გამოურკვეველია.

— ამავე დღეს ტროცკის ქ. № 14 ფანჯრის მინის გატეხის საშუალებით გაქურდეს მოქ. სოფიო ანდრონიკაშვილის ბინა, წაღებული ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

— **ქურდი ცოლისძმა.** 28 აპრილს ღამით საბჭოს ქ. № 42. გაქურდეს მოქ. ანდრია ცეიტლინის ბინა, წაღებულია 200 მან. ნივთები და რევოლვერი „ნაგანის“ სისტემის. ეჭვით შეიპყრეს ცეიტლინის ცოლისძმა გრიგოლ ნეპომნიჩი.

— **ყაჩაღი მოჯამაგირე.** სოფ. ჩეკურაანთში (ცრწოს სამილიციო, რაიონი) მოქ. დარჩია გოხილაშვილს თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი, რომლებმაც წაიღეს 300 მანეთის ნივთები და ხელით საკერავი მანქანა, ეჭვით შეპყრეს დაზარალებულის მოჯამაგირე თედო მეხიაშვილი. დანარჩენი მიიმალნენ.

— **გვამის პოვნა.** 29 აპრილს საღამოს 7 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოს ეზოში იპოვეს გვამი მიხაილ ლაზარაშვილის, რომელსაც გატეხილი ჰქონდა თავი და ყელში წაჭერილი ტყავის ღვედი.

— **ცეცხლი.** 2 მაისს დღის 3 საათზე განოვის ქ. ცეცხლი გაუჩნდა № 19 სახლს, ცეცხლი საჩქაროთ ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— **თვით დაჭრა.** 4 მაისს ინჟინრის ქ. № 10 ვასო ცალანჩივაძის ვაჟმა რევოლვერით მძიმეთ დაიჭრა თავი, დაჭრილი საჩქარო დახმარებისათვის გააგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში.

ბრძანება

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ჯარებისადმი

№ 203.

ქ. თბილისი. 1924 წ. 5 მაისი.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ჯარების სარდალი ამხ. ალექსანდრე ილიას ძე ეგოროვი საბჭოთა კავშირის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს ბრძანებით დანიშნულია უკრაინის და ყირიმის ყველა შეიარაღებულ ძალების სარდლათ და სტოვებს ჩვენს არმიას.

ამხ. ეგოროვი ორ წელზე მეტი [illegible] ენერგიით და ცოდნით მუშაობდა ჩვენს რიგებში არმიის ძლიერების განსამტკიცებლად.

მისი დაუღალავი და მაღალ-ავტორიტეტული ხელმძღვანელობით არმიამ შედარებით ამ მოკლე დროის განმავლობაში მიაღწია უდიდეს შედეგებს ჯარის ნაწილების საომარ მომზადების და შეკავშირების მხრივ.

ამხ. ეგოროვის დაუღალავი მუშაობით და ყურადღებით არმიის ყოფა ცხოვრების ყველა წვრილმან დარგებისადმიც კი, შესაძლებელი გახდა სამეურნეო ცხოვრების იმ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრა რომელიც ძალიან აფერხებდა ჯარების სწავლების და მომზადების გეგმა შეწონილად დაყენებას.

ამხ. ეგოროვის თაოსნობით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულია უდიდესი მუშაობა სამხედრო მომზადების დონის ასაწევად არმიის საკომანდო პოლიტიკურ შემადგენლობის შორის, საველე ვარჯიშობის, სამხედრო შეჯიბრების საშუალებით და აგრეთვე ჩვენი არმიის ყველა ნაწილებში სამხედრო სამეცნიერო მუშაობის დაყენებით.

ამიერ კავკასიის საბჭ. სოც. რესპუბლიკების ეროვნულ ჯარების ორგანიზაციის და ჩამოყალიბების საქმე მჭიდროთაა დაკავშირებული ამხ. ეგოროვის სახელთან, რომელიც თავისი ცოდნით და მუდმივი ხელმძღვანელობით ხელს უწყობდა ამ რთულ საკითხის სისწორით გადაჭრას ადგილობრივ ცხოვრების პირობებში.

გეთხოვებით რა ღრმა მწუხარებით თქვენ, ძვირფასო ალექსანდრე ილიას ძევ, რევსამხედრო საბჭო გისურვებთ სრულ გამარჯვებას მომავალ მუშაობაში ჩვენთვის ძვირფას მუშურ გლეხურ წითელ არმიის მშენებლობის თქვენს გზაზე

რევოლუციონური სამხედრო საბჭო—ორჯონიკიძე, ელიავა, ა. მიასნიკოვი, კარაევი.

პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი—რატნერი.

შტაბის უფროსის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი—გედევანიშვილი

ხელოვნება

■ **მირზა აბასოვის იუბილე.** 9 მაისს რუსთაველის თეატრში გადახდილ იქნება თურქული დრამის არტისტ რეჟისორის მირზა ალი აბასოვის 25 წლის მოღვაწეობის იუბილე. საიუბილეო კომისიაში შედიან: რასულ ზადე, ალი ტაგი ზადე, სვიმონიშვილი, ტურგანოვი, რობაქიძე, ხაკი, პოკროვსკი, ტამაილიდი, სურენია და იუზბაშევი.

■ **ახალი წიგნი.** ამ დღეებში გამოვა დავით კობიძის ლექსების პირველი წიგნი „თბილისის ღამეები“.

■ **კინო ცის ქვეშ.** 3 მაისს ავლაბარში მოედანზე მუშებისათვის მესამე რაიკომმა მოაწყო უფასო კინო ცის ქვეშ.

■ **ლენინის ძეგლი.** მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ შეადგინა ლენინის ძეგლის პროექტი, რომელიც მოწონებული იქნა საკონკურსო კომისიის მიერ.

■ **„არსენა ყაჩაღი“** დღეიდან კინო-თეატრებში—„არფასტო“ „აპოლო“ და „სოლეიში“ ერთდროულად ნაჩვენები იქნება ახალი სურათი სახ. კინო მრეწველობის, „არსენა ყაჩაღი“.

■ **„წითელი თეატრი“.** დღეს, სახ. სახლში მოხდება წითელი თეატრის გახსნა, და კობახიძის რეჟისორობის წარმოდგენილი იქნება „[illegible]“.

■ **სახ. თეატრის სეზონის დახურვა.** სახ. თეატრში (სახ. სახლის) ქართული წარმოდგენების გამართვა გაგრძელდება 15 ივნისამდე

■ **საბავშვო გაზეთი „პირველი მაისი“.** გამოვიდა საბავშვო გაზეთი „პირველი მაისი“. გაზეთში მოთავსებულია ბავშვების ლექსები და წერილები პირველ მაისზე.

■ **ახალი კლუბი.** დღეს, ახალ კლუბში გაიმართება საქ. საექიმო-სასანიტარო მუშაკთა კავშირის თაოსნობით დიდი საღამო, აღნიშნულ კავშირის კულტფონდის სასარგებლოთ.

■ **სუმბათაშვილ-იუჟინის სახელობის დრამატიული წრე.** 9 მაისს პატარა თეატრში სუმბათაშვილ იუჟინის სახელობის დრამატიული წრე გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „პოლნორმანი“.

■ **სახალხო სახლში:** სანდრო შანშიაშვილის „სპარტაკი“ წარმოდგენილი იქნება მაისის 11. დეკორაციები მხატვარ დალ. სიდამონ ერისთავის მუსიკა კომპოზიტორ დიმ. არაყიშვილისა ბალეტი—დადგმა სერგეევის.

პროვინციაში

ონის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია (რაჭა)

აპრილის შუა რიცხვებში მოხდა ქ. ონში ონის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო [illegible] ტყვეთ პარტკომის წარმომადგენელმა გამყრელიძემ. კონფერენცია მიესალმა კომპარტიის ცეკას, ც. ა. კომ-ტს და წითელ ლაშქრის მომღერალთა გუნდმა ლამაზად შეასრულა „ინტერნაციონალი“.

საპატიო თავმჯდომარეებათ იქნენ არჩეული ტროცკი, სტალინი, ზინოვიევი, ცხაკაია და მახარაძე პრეზიდიუმში აირჩიეს უპარტიო გლეხები და ქალები.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: რაიაღმასრულებელი კომიტეტის მუშაობა, 2) ლენინი და გლეხობა, 3) საბჭოთა ყრილობების შედეგები, 4) აგრონომიული დახმარება, 5) კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. 6) კოოპერატივის მუშაობა, 7) გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის ანგარიში და 8) მიმდინარე საკითხები.

რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომიტეტს უხდებოდა მუშაობა მძიმე პირობებში. ეს პირობებია: რაიონში და მაზრაში არ არის გამართული წარმოება, სადაც შეეძლოს გლეხს გადასცვალოს თავისი ცოცხალი ძალა და მით შეავსოს ოჯახის დანაკლისი; ადგილ მამულის სივიწროვე; სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენილობა; უგზოობა და სხვა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონში არის სულ 1975 კომლი, რომელიც შეადგენს 15,385 მცხოვრებს, თითო კომლზე მოსდის 7,6 სული ამათ აქვთ სულ 1980 დესეტინა მაშინ, როდესაც ნორმით მიწის რაოდენობა უნდა იყოს რაიონში 9380 დესეტინა. არის დანაკლისი 7400 დესეტინა და ეს კი დიდად საგრძნობია, რის გამო გლეხი იძულებულია გავიდეს გარეთ სამუშაოდ. მარტო ორი თვის განმავლობაში ნოემბერსა და დეკემბერში გავიდა გარეთ სამუშაოდ 1080 ჯანსაღი შრომის უნარიანი კაცი.

მიწის რეფორმამ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი იმ მხრივ, რომ საარ იყო ჩამოსართმევი ადგილი, რადგან მემამულეები რაიონში არ აღმოჩნდენ. სულ არის ჩამორთმეული 18 დესეტინა და ისიც ნაჭრობით—100—200—400 კვ საჟენი

ონის რაიონი სწავლა-განათლების მხრივ ძალიან ჩამორჩენილია.

სულ არის რაიონში 8 სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს 461 [illegible] საც გლეხობა დიდის აღტაცებით და თანაგრძნობით შეხვდა.

რაიაღმასკომმა მოაწყო აგრეთვე სოფლად წარმოდგენები და ერთგვარი სინათლის სხივი შეიტანა მიყრუებულ სოფლის ცხოვრებაში და გამოაფხიზლა გლეხობა.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ჯანმრთელობის საკითხს, თუ რა ზომები იყო მიღებული ამ დარგში აღმასკომის მიერ, მაგალ. პარტახტიან ტიფთან ბრძოლა, ყვავილის აცრა, ულარიბეს გლეხობაზე წამლის დარიგება და სხვ

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თვითმოქმედების მხრივ რაიონს დაეტყო გამოფხიზლება.

გლეხობა შეუდგა გზების გაყვანას. გზები გაყავთ სოფლათ, სოფლიდან სოფლამდე, რაიონიდან რაიონამდე. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გზა, არის შქმერისაკენ მიმავალი გზა, რომელიც აერთიანებს ორ მაზრას, რაჭას და შორაპანს.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონის გლეხობა არის მშრომელი ხალხი, არ ჰქონია ადგილი ბანდიტიზმს, გამოსვლებს, ყაჩაღობას. უბრალო შემთხვევა წვრილი ქურდობისა იყო აღნიშნული 3 და წესრიგის დარღვევა, ჩხუბი, უბრალო კანკლაობა და სხვ—7.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები. წარმოითქვა სიტყვები. მოხსენების მიხედვით გამოტანილ იქნა რეზოლუცია.

„ლენინის და გლეხობის“ შესახებ გააკეთა მოხსენება ამხ. ბოკერიამ, რომელმაც მდაბიო, გასაგები ენით აუხსნა კონფერენციას, თუ ვინ იყო ლენინი, როგორ უყურებდა გლეხობას და რამდენათ მან უტყუარათ აასრულა თავისი დაპირებები გლეხობისადმი. მოხსენების გამო გამოიტანეს შესაფერი რეზოლუცია.

აგრონომიულ დახმარების შესახებ გააკეთა მოხსენება ს. გოცირიძემ, რომელმაც აღნიშნა, თუ რა იყო გაკეთებული და რა აქვთ განზრახული მომავალში სამუშაო გლეხებისადმი დასახმარებლად აგრონომიულ დარგში. კონფერენციამ აუცილებელ საჭიროებად სცნო რაიონში იქნეს შემოღებული სავალდებულო აცრა საქონელზე ციმბირის ჯარის საწინააღმდეგოდ.

კულტურულ განმანათლებელ მუშაობაზე გააკეთა მოხსენება ამხ.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშური მადლობა მომღერალ მ. თარხნიშვილს

ქ. თბ. წყალსადენის ადგილკომი ამით უღრმეს მადლობას უძღვნის მომღერალ ამხ. მ. თარხნიშვილს, რომელმაც თავისი დაუღალავი ენერგიით მოაწყო გუნდი წყალსადენის კლუბთან და ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს გამართა საღამო ხსენებულ დაწესებულების კლუბში, რითაც დაქანცულ მუშებს შვება მოჰგვარა.

მიიღეთ ჩვენი მუშური სალამი პატივცემულო მუშაკო!

ადგილკ. დავალებით მუშკორი: თ. გოგოლაძე.

როგორ ჩავატარეთ 1-ლი მაისი

პროლეტარიატის დღე, მისი მონობის უღლიდან განთავისუფლება და კაპიტალისტური ექსპლოატატორებისაგან თავის დაღწევა თბილისის მუშათა კლასმა ბრწყინვალედ ჩაატარა. ჯერ კიდევ წინა დღით ეტყობა ქალაქს გამოცოცხლება და 30 აპრილს მუშათა სასახლესთან და რუსთაველის პროსპექტზე დიდი მოძრაობაა ფაბრიკა ქარხნებიდან გამოსულ მუშებისა; ბევრგან აივნები უკვე მორთულია; ყველას სახე გაღიმებულია,—ყველა გრძნობს, რომ მუშურ გლეხურ რესპუბლიკაში მუშათა კლასი სათანადოთ იზეიმებს საერთაშორისო პროლეტარიატის დღეს, 1-ლ მაისს. წითელი ბაირაღები, აქა იქ რევოლიუციონური სიმღერები, მომენტის შესაფერი პლაკატები სხვადასხვა ენებზე, შესანიშნავი წესრიგით მუშათა რიგები გამოუვლევლათ რუსთაველის პროსპექტს ამშვენებენ 1-ლ მაისს.

პირველ მაისს ამინდიც შესანიშნავია,—წყნარი, მზიანი და მასთან არც ძლიერი სიცხეა.

ყოფილ ზემელის აფთიაქთან თავს იყრიან მშენებელთა კავშირის წევრები; ყველა მხიარულობს და გრძნობს, რომ ის სრული ბატონ-პატრონია თავის თავის, მხოლოდ აქა იქ პლაკატებზე წარწერით გრძნობ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ მუშათა კლასი ისევ გმინავს და მონობაში იმყოფება... იქ ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებიათ მუშებს სრული თავისუფლება, მხოლოდ საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკებში გრძნობს ის თავისუფალ შრომას.

სრული 12 საათია; ჩამწკრივებული რიგები თავიანთი ადგილებიდან დაიძრნენ და მიეშურებიან დანიშნულ ადგილებისაკენ, თავისუფლების მოედანზე; ცეკას წინ გამართულია ტრიბუნა. ტრიბუნაზე ადის ამერიკელი ამხანაგი ხეივუდი; 1 ლ. მაისობის დიდ დღესასწაულს ის აღტაცებაში მოჰყავს; ის მიმართავს თბილისის მუშებს და უხსნის მათ იმ გაჭირვებულ მდგომარეობას ევროპის და ამერიკის ციხეებში გამომწყვდეულ მუშათა მასებისას, რომლებიც დღეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში არიან.

მის მიმართვას რუსულ ენაზე უხსნის მუშებს ამხ. კვირიკაძე, რაც იწვევს მუშებში დიდს ოვაციებს და აღტაცებას.

თავისუფლების მოედანზე ამხ. ხეივუდი კიდევ ადის ტრიბუნაზე და იმავე აღტაცებით და სიხარულით ეგებება თბილისის მუშებს, როგორც წინადაც. კიდევ ულოცავს პირველი მაისის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ნაშუადღევის 3 საათზე 1-ლი მაისის ზეიმი დამთავრდა და მუშები თავ თავიანთ ბინებში იშლებიან; საღამოს ქალაქის უმთავრესი უბნები საუცხოვოდ არის მორთული ჩირაღდნებით.

მუშკორი უჯარამაძე

ავლაბრის მუშათა კლუბში 1 მაისის ზეიმობა

ჩვენმა მუშებმა დიდის ზეიმით ჩაატარეს 1 ლი მაისი. მოატანა საღამოს 6 საათმა და ყველა მუშამ მოიყარა თავი კლუბის წინ. წარმოდგენაზე დასასწრებლად. აი მოვიდა დროც, გაიღეს კლუბის კარები. დიდი ტალღა მუშებისა შედის რიგ რიგად. ერთი საათის შემდეგ დაჰკრა ზარმა აიწია ფარდაც. ხალხი დიდის გაფაციცებით ელოდებოდა წარმოდგენას, ამხ. მარქიციანმა სთხოვა მუშა ამხანაგებს, რომ ნება მიეცათ მისთვის 1 საათით მოხსენება გაეკეთებინა. რასაკვირველია დიდის ტაშით ეგებებიან მას ჩვენი მუშები. ამხ. მარქიციანმა გააკეთა მოხსენება იმის შესახებ, თუ საიდან წარმოსდგა პირველი მაისის დღესასწაული, რომელსაც ჩვენ დღეს ვზეიმობთ. ის აგრეთვე შეეხო იმას, თუ საიდან წარმოსდგა 8 საათის სამუშაო დრო და როგორ განთავისუფლდა მუშა კაპიტალისტის ბრჭყალებისაგან. მომხსენებელს მხურვალე ტაშით გადაუხადეს მუშებმა მადლობა. შესრულდა საღამოს 10 საათი დაიწყო წარმოდგენა, წარმოდგენილი იყო სომხურ ენაზე „ჭელჰელმ ტილლი“. წარმოდგენა მშვენივრად ჩატარდა, მუშები დიდად დაკმაყოფილებული დარჩნენ.

მუშკორი ი. ჯ.

კიდევ მუშათა უბანზე
(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

ლენინის უბანი ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში სრულიად გამოიცვალა. ეს გამოცვლა გამოიხატება მის გაუმჯობესებაში და ყოველგვარად წინ წაწევაში. მოეწყო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, კლუბი და ბევრი სხვა.

აი ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნაყოფია იმის, რომ სულ ერთთავად სწერდნენ გაზეთებში ამ უბნის შესახებ და კიდევაც ამ წერამ არ ჩაუარა მათ ტყუილ უბრალოდ. მაგრამ ეხლა შევადაროთ ამ ლენინის უბანს მეორე მუშათა უბანი „დიდუბე“.

რას ვხედავთ ჩვენ აქ? ლენინის უბანი მაღალ დონეზედ სდგას დიდუბეზედ. რისთვის? არც დიდუბეა ნაკლები მუშებით.

განა როდემდის უნდა იყვეს ეს უბანი ასე ჩამორჩენილი თავის მეზობელ უბანთან? ნუ თუ არ უნდა ეღირსოს მასაც ისეთი ნაბიჯის გადადგმა, როგორიც გადასდგა ლენინის უბანმა?

უნდა ვეცადოთ, რომ არც მეორე მუშათა უბანი იყვეს ჩამორჩენილი და უნდა გავაუმჯობესოთ ისიც

იმედია ეხლა მაინც მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას ქალ. აღმასკომი ამ უბანს და ეცდება მის გამოფხიზლებას. ამასთან ერთად დიდად სასურველი იქნებოდა, რომ ამ უბანს თავის ძველი სახელის ნაცვლად დაერქმეოდეს „ტროცკის უბანი“.

ალ. გურასაშვილი.

ეს კანონიერი არ არის
(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ჩვენმა ტრამვაის წითელმა დირექციამ თუმცა ბევრი კარგი საქმეები გააკეთა, მაგრამ დაბოლოს ერთი შეცდომაც დაუშვა, რაც გამოიხატება ტრამვაის ბილეთის ნახევარი კაპიკით გაძვირებაში. მინამ ფულის რეფორმა გატარდებოდა ორი უბნის გავლა ტრამვაით ღირდა შვიდ კაპიკ ნახევარი, ეხლა კი ღირს რვა კაპეიკი. მოემატა ნახევარი კაპეიკი მაშინ, როდესაც ფულის რეფორმის გატარების ინტერესები მოითხოვდნენ ფასის დაკლებას. ამას გარდა ყოველი ამგვარი მომატებანი მძიმე ტვირთად გვაწვება თვით ჩვენ, მუშებს. და აი სწორეთ ამიტომ მიმოსვლის დირექციამ არამც თუ გააძვიროს, არამედ უნდა გააიაფოს. ჩემი წინადადება ამ საქმის მოსაგვარებლად იქნება შემდეგი: ერთ უბანზე 4 კაპ., ორ უბანზე 7 კაპეიკი და სამ უბანზე 9 კ. ან 10 კაპეიკი. ცხოვრება თანდათან იაფდება და ამიტომ დირექციის საქციელი უკანონოდ უნდა ჩაითვალოს.

მუშკორი ჟუჟა.

კომუნალურ მუშაკთა კავშირის კლუბში

ა.—წ. 19 აპრილს კომუნალურ მუშაკთა კავშირის ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში შესდგა საზოგადო კრება ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა კრებას თავმჯდომარეობდა ამ. გოგანიშვილი.

დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი:

1) დასასვენებელ სახლების შესახებ და

2) მიმდინარე საკითხები.

დასასვენებელ სახლების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხერგიევმა. მან თავის ვრცელ მოხსენებაში აღნიშნა დასასვენებელ სახლების დიდი მნიშვნელობა მუშა-მოსამსახურეთათვის; მან სთქვა, რომ დასასვენებელ სახლებში იქნება კარგი სასმელ-საჭმელი, ბინა, ქვეშსაგები, გასართობები, სამკითხველოები; ხოლო გზის ფულის გადახდა ეკისრება დამსვენებელთ სასურველია, რომ ამ უკანასკნელ საქმესაც მოაგვარებდეს კავშირი, თორემ მუშებისათვის გზის ხარჯიც ძნელია. კავშირი გზავნის პირველ რიგში მუშებს და შემდეგ თანამშრომლებს. სასურველი იყო, რომ პირველ რიგში გაიგზავნოს ის, ვინც უფრო საჭიროებს დასვენებას.

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა კრება იწონებს კავშირის მოქმედებას, მიესალმება მას და უსურვებს შემდეგშიაც ნაყოფიერ მუშაობას.

კრების შემდეგ ალ. თავდგირიძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“! პიესამ საერთოდ კარგად ჩაიარა. დედის როლი ძლიერ მოხდენილათ და მგრძნობიერად შეასრულა მსახიობმა ელ. ბარათაშვილმა.

მუშკორი ათანასე განიძე.

მუშათა ფაკულტეტში

ამხ. ლენინის დაბადების დღე მუშათა ფაკულტეტმაც იდღესასწაულა. თეატრის დარბაზი მსმენელებით გაიჭედა და მოუთმენლად ელოდნენ ამხ. ფილიპე მახარაძეს. აგერ ამხ. ფილიპეც შემოვიდა მსმენელები შეხვდნენ ჩვენს მცხოვან ბელადს ტაშის ცემით და ოვაციებით. კრება გახსნა სტუდკომის თავმჯდომარემ, ამხ. ფ. გოგოშიძემ და გააცნო კრებას მიზეზი ჩვენი შეკრებისა. ამხ. ფილიპემ აიღო სიტყვა და მოხსენება გაგვიკეთა ლენინის შესახებ, მის დაბადების დღის აღსანიშნავად. მან დაახასიათა ლენინი როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის და მესამე ინტერნაციონალის შემქმნელი, და როგორც ამხანაგი მუშათა კლასის. მან სხვათა შორის აღნიშნა ლენინიზმის ცხოვრებაში გატარება. მან მსმენელებს მიუთითა თუ რა მიდგომით უნდა შევისწავლოთ ლენინიზმი. ამხ. ფილიპეს მოხსენება დამთავრდა ინტერნაციონალის სიმღერით.

ჩვენ, მუშფაკის მსმენელები, დიდ მადლობას უძღვნით ჩვენს მცხოვან ბელადს ამხ. ფილიპეს.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

მუშფაკელი დ. გოლდავა.

ლობჟანიძემ. მოხსენებით გლეხობა დიდი კმაყოფილი დარჩა.

კოოპერატივის შესახებ გააკეთა მოხსენება ბაქრაძემ, რომელმაც აუხსნა გლეხობას კოოპერატივის მნიშვნელობა, მისი უმთავრესი ამოცანები, რის შემდეგ იქნა მიღებული რეზოლიუცია: კონფერენცია დიდი აღტაცებით ეგებება იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მთავრობამ ასეთი ფართო და დიდი ყურადღება მიაქცია ამ დარგს, რომლითაც შესაძლებელი გახდება მაკრატლის პირების შეერთება. ჩვენ მთელი რაიონის მცხოვრებთა სახელით ვცხადებთ, რომ ყოველივე დახმარებას გაუწევთ ამ დაწესებულებას და ყოველი გლეხი გახდება წევრი კოოპერატივისა.

მიმდინარე საკითხებში გაირჩა თვით გლეხობის მიერ წამოყენებული საკითხები.

იმ დღისთვის იყო გამართული რევოლიუციონური პიესა, რითაც გლეხობა დიდი ნასიამოვნები დარჩა.

ა.—გ—ძე

სოფ. რუისი (გორის მაზრა)

25 აპრილს ს. რუისში მოხდა რუისის სათემო საბჭოს და გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის კრება, რომელსაც დაესწრო უმრავლესობა წევრისა

დღის წესრიგი: 1. კოოპერატივის სარევიზიო კომისიის მოხსენება 2. ურთიერთ დამხმარე კომიტეტების მოხსენება ადგილებიდან. 3. ჩამორთმეულ ბაღ ვენახების და საფონდო მიწების შესახებ, 4. ვიწრო გზების გაფართოება. 5. საბჭოს წევრების მოვალეობა. 6 საექიმო პუნქტისთვის ცხენის შეძენა. 7. მიმდინარე საკითხები.

1. კოოპერატივის რევიზიის შესახებ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი ამხ გვარამაძე. მოისმინა რა კრებამ მოხსენება სარევიზიო კომისიის, რომელშიც აღნიშნული არის, რომ ძველ კოოპერატივის აღებ-მიცემაში არის ბევრი დეფექტები, სხვათა შორის, 25 ნოემბრიდან კოოპერატივს უზარალია ექვსი ფუთი პურის ღირებულება, რომელ ზარალს სარევიზიო კომისია აძევს კოოპერატივის ყოფილ გამგეობის თავმჯდომარეს სტეპკო მღებრიშვილს, რომელმაც მიიღო წინანდელი გამგეობისაგან 25 ნოემბერს კოოპერატივის ქონება დაადგინა: გადაწყვეტა იმ კითხვისა გადახდეს თუ არა ზარალი კოოპერატივისა ექვსი ფუთი პურის სახით მღებრიშვილს,—მიენდოს გორის მთლიან მომხმარებელ კოოპერატივის გამგეობას, რომელსაც აქვს წარდგენილი ოქმი სარევიზიო კომისიისა და რომელმაც ოქმის მიღების შემდეგ გახსნა უკვე რუისში განყოფილება. 2. გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების მოხსენებები ადგილებიდან ცნობილ იქნენ არა დამაკმაყოფილებლად და ამისათვის მიეცეს რუისის, ბებნისის, ურბნისის და სასირეთის დამხმარე კომიტეტებს წინადადება გაძლიერონ მუშაობა. 3. საფონდო ბაღ ვენახების და მიწების შესახებ მოხსენებას აკეთებს როგორც წინა კითხვის შესახებ,—ამხ ჩიტაიშვილი: საბჭო ადგენს—მიეცეს წინადადება ურთიერთ დამხმარე კომიტეტებს თვით დაიმუშაონ, შეძლებისა და გვარად, ბაღ-ვენახ მიწები, რასაც ვერ შესძლებენ—გასცენ იჯარით იმ პირობით, რომ დაცული იქნენ ბაღვენახები წახდენისაგან 4. გზების გაფართოების შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე. საბჭო თათბირის შემდეგ ადგენს: რადგანაც ზოგიერთ სასოფლო და მამულების გზები საგრძნობლად არიან შევიწროებულნი ხარბ მომიჯნავეთაგან,—დაევალოს გზების და ხიდების კომისიას დაიარონ ყველა გზები და შევიწროებულებზე წარმოადგინონ ცნობები აღმასკომში, რომელმაც განხილვის შემდეგ მიიღოს ზომები გზების გაფართოებისთვის. 5 საბჭოს წევრების შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე. საბჭომ დაადგინა: რადგანაც საბჭოს ზოგიერთი წევრი არ ესწრება რეგულიარულად საბჭოს სხდომებს, არ დამსწრეს გამოეცხადოს საყვედური, თუ არ აქვს საპატიო მიზეზი დაკლებისა, ხოლო მეორედ მიცემულ იქნეს პასუხისგებაში, რათა გამორიცხულ იქნეს საბჭოს წევრობიდან. 6 საექიმო პუნქტისთვის ცხენის შეძენის შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე. საბჭომ დაადგინა: ეთხოვოს რაიაღმასკომს შეიძინოს ცხენი საექიმო პუნქტისათვის მთელი რაიონის სოფლების ხარჯზე 7. თევზის ჭერის შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე. საბჭო ადგენს: აეკრძალოს მცხოვრებლებს თევზის ჭერა: დინამიტით, ტოტის დაწყვეტით და სხვა წამლებით.

სხვათა შორის გამოცხადებულ იქნა ათი ცირკულიარი მთავრობისა ცნობად და სახელმძღვანელოდ

საჭიროა აქ დავძინოთ, რომ ყველა ზემოხსენებული კითხვები განხილულ იქნენ შინდისის და დირბის საბჭოებში, სადაც გამოტანილია საბჭოების მიერ ანალოგიური დადგენილებები.

საბჭოების მუშაობას ამ ბოლო დროს ეტყობა გაცხოველება და უნარიანობა.

ა. ზ.

ბანძის რაიონი (სენაკის მაზრა)

თითქმის რვა წლიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ბანძაში არსებობს მომხმარებელი საზოგადოება „ენერგიის“ სახელწოდებით. ამ კოოპერატივის დაარსებას ბევრი მტრული თვალით უყურებდა პირველ ხანებში. ბუნებრივია, პირველი ადგილი ამ უკმაყოფილოთა რიცხვში ეჭირა ვაჭარ-სპეკულიანტებს, სოფლის ბობოლა კულაკებს, რომლებიც ამ კოოპერატივის არსებობაში ხედავდენ თავის ბატონობის საფუძვლის გამომთხრელ ორგანიზაციას, და ყოველ-ფერის გადადგმაზე უჩინებდნენ მშრომელ გლეხ კაცობას—არ გახდე წევრი ამ კოოპერატივისა, არ გაუწიო მას არავითარი დახმარება და სხვა. მაგრამ საზოგადოების უმრავლესი ნაწილის, სახელდობრ ღარიბ მუშა გლეხ-კაცობის აქტიური მონაწილეობით გახსნილ იქნა ეს დაწესებულება—დ. ბანძაში. მთელი რაიონის მშრომელი გლეხ-კაცობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მის გახსნას, ყველა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კოოპერატივი და მისი გამგეობა აკეთებდენ ხალხის საქმეს, მაგრამ სინამდვილეში კი სულ სხვანაირი სურათი გადაიშალა მათ წინ. იმ ხალხმა, რომელიც მზათ იყო გაეღო თავისი უკანასკნელი წვლილი საზოგადო საქმისათვის შეძლებისდაგვარად, იმ ხალხმა, რომლის ინიციატორობითაც იქნა გახსნილი კოოპერატიული დაწესებულება, პირი იბრუნა მისგან და მტრული თვალით დაუწყო ყურება. რა იყო ამის მიზეზი?—უმოქმედობა კოოპერატივის ხელმძღვანელებისა.

როდესაც ხალხმა აშკარად დაინახა, რომ მისი იმედები არ მართლდება, ზურგი შეაქცია კოოპერატივს. ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი მენშევიკების დროს. როგორი მდგომარეობა მიიღო საქართველოს გასაბჭოების დღიდან ამ კოოპერატივმა? არც ერთი საქონელი კოოპერატივში არ იყო, არავინ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ეს კოოპერატივი ოდესმე ფეხზე წამოდგებოდა და შექმნიდა თანხას საქმის საწარმოებლად. რა უნდა ექნა კოოპერატივს ასეთ პირობებში? ცხადია, თვითმცხოვრებთა დახმარებით უნდა შესძლებოდა არსებობა და კიდევაც გაიღეს თავისი წვლილი იმ იმედით, რომ ახალი ხელისუფლება არ მოაკლებდა თავის მზრუნველობის ხელს ღარიბ მოსახლეობას. და ჩვენ ვხედავთ, ამ კოოპერატივმა შესძლო მშრომელ გლეხკაცობისათვის პირველ მოთხოვნილების საგნების მიწოდება. გარდა ამისა, კოოპერატივი აწარმოებს შესყიდვას, ყიდულობს გლეხებისაგან სიმინდს, პარკს, ჯაგარს. გასულ წელს ამ კოოპერატივმა პარკის დიდი ოპერაცია აწარმოვა მოაგროვა 4—5 ათას ფუთამდე. ამ ბოლო დროს მოხდა კოოპერატივის გამგეობის გადახალისება. არჩეული იქნა ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ვლადიმერ ესიავა (კომ.), ლევ. მაისაია (კომ.), გრიგოლ გახოკიძე (უპარტ. თანამგრძ.), რომლებიც შეუდგნენ თავის პასუხსაგებ მოვალეობის შესრულებას.

იმედია, ახლად არჩეული გამგეობა გაამართლებს საზოგადოების იმედს.

კარიდე ჭატარაია.

მაისობა სადგურ ბადიაურზე

დილის 10 საათი იყო, როდესაც ორი სოფლიდან, სახელდობრ ყანდაურიდან და ახალ-მალდანოვკის მხრით გამოჩნდნენ მომავალი გლეხები. ფრიად მიმზიდველ და სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა, როდესაც უთვალავი, ახლად აჭრელებულ მწვანე ყანებში, წითელი დროშებით და ინტერნაციონალის სიმღერით ხუთასამდის გლეხობა მწყობრათ მოიმართებოდნენ სადგურ ბადიაურისაკენ. მათ შორის იყვნენ აგრეთვე ქალები და ბავშვებიც ორივე სქესისა, 12 საათზე მიტინგი გახსნა თავმჯდომარე, ვანო თევდორაშვილმა. პირველი სიტყვა აიღო მალდანოვკის კომისარმა ამხ. ნაპაუშიმ, და მიულოცა ორივე სოფლის გლეხობას მაისის დღესასწაული. შემდეგ სიტყვას ღებულობს ამხ ბარბუდაროვი თუთუნის ქარხანა „პროლეტარიატის“ მუშების მხრით და ულოცავს მაისის დღესასწაულს გლეხობას. შემდეგ სიტყვა ეძლევა ალ ბაჯიაშვილს, რომელმაც მოკლეთ გააცნო მნიშვნელობა პირველ მაისისა და ის, თუ რამდენათ მნიშვნელოვანია და საჭირო ქალაქის მუშათა და გლეხთა შორის მტკიცე კავშირი.

შემდეგი სიტყვა ეძლევა ქალთა განყოფილების წარმომადგენელს ვერა კალუროვს. იგი თავის სიტყვაში მოკლეთ აცნობს ქალთა უფლებას და თანასწორობას. ამის შემდეგ სიტყვას იღებს ახალგაზრდა კომკავშირელი დოლია და ისიც თავის მხრით ულოცავს პირველ მაისს სოფლის ახალგაზრდა კომკავშირის წევრებს და უსურვებს მათ გაორკეცებულ ენერგიით გააგრძელებინოთ სახალხო მუშაობა. ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხანაგ დეკანოზიძეს და ისიც სადგურ ბადიაურის მუშათა სახელით ულოცავს გლეხებს და უსურვებს, რომ მათ შორის უფრო ძლიერი კავშირი და სოლიდარობა დამყარებულიყოს.

შემოვიდა წინადადება, რომ რადგანაც ძლიერი სიცხე დაიჭირა და ბავშვები სწუხდებოდენ, მიტინგი დასრულებულიყო. წინადადება მიღებული იქნა. ვიდრე მიტინგი დაიხურებოდა, ყანდაურის გლეხების დავალებით სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის მუშათა მიმართ სამბელაშვილმა. გამოტანილ იქნა დღის შესაფერი რეზოლიუცია.

მიტინგი დაიშალა ნაშუადღევის 2 საათზე და ყველანი კმაყოფილი დაბრუნდნენ თავთავიანთ სოფლებისაკენ.

მუშკორი ალ. ბაჯიაშვილი.

სამაგალითო ექიმი
(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩემი ნერვიული ავადმყოფობისა და უსახსრობის გამო მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ვიყავი და პატივცემული ექიმი ფონდოევი პირდაპირ მხსნელად მომევლინა მთელი შვიდი თვის განმავლობაში სრულებით უსასყიდლოთ მიწევდა საექიმო დახმარებას, თავისი მოქმედებით და თბილი თანაგრძნობით განცვიფრებაში მოვყავდი მით უმეტეს, რომ სხვა ჩემსავარ ღარიბ ავადმყოფებსაც ხშირათ აწვდის უფასო საექიმო დახმარებას და რჩევა-დარიგებას.

მხურვალე მადლობას უძღვნი ექიმ ფონდოევს და ვუსურვებ მას დღეგრძელობას, რათა მისი სასარგებლო და სამაგალითო მოღვაწეობა მეტად ხანგრძლივი ყოფილიყოს.

ნიკო კალაბეგია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 87

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

ადმინისტრატიული წესით გადასახლების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ადმინისტრატიული წესით შეიძლება გადასახლებულ იქნეს ის პირი, რომლის დანაშაულებრივი ყოფა-ქცევა, თუმცა არ უდგება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ამა თუ იმ დანაშაულს, მაგრამ რომლის ყოფნაც განსაზღვრულ ადგილას ან და მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში საფრთხეს წარმოადგენს რევოლიუციონური წესიერებისათვის ხსენებული პირის ყოფაქცევისა, წარსულისა და დანაშაულებრივ წრესთან კავშირის გამო.

2. ადმინისტრატიული წესით შეიძლება გადასახლებულ იქნეს აგრეთვე ის პირი, ვინც უკვე ორჯერ გასამართლებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 76, 86, 96, 141, 142, 144, 171^1, 174, 176, 183, 187, 189, 190, 191, 195, 196, 196^1, 196^3 199, 200, და 201 მუხლში გათვალისწინებული დანაშაულთათვის და ვინც თავისი დანაშაულებრივი ყოფაქცევით და დანაშაულებრივ წრესთან კავშირის გამო შეიძლება ცნობილ იქნეს სოციალურად საშიშარ პირად.

3. ამა თუ იმ პირის გადასახლების საკითხს განიხილავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული კომისია, რომელიც მოქმედობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით და შესდგება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და საგანგებო კომისიის წარმომადგენელთაგან, რომელთაც დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

4. ადმინისტრატიული წესით გადასახლება შეიძლება არა უმეტეს სამი წლისა; გადასახლება სამგვარია:

ა) გადასახლება ამა თუ იმ ადგილიდან როდესაც, ამასთანავე, გადასახლებულს ეკრძალება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაზღვრულ ადგილას ყოფნა;

ბ) გადასახლება ამა თუ იმ ადგილიდან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაზღვრულ ადგილას,

გ) გადასახლება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდან.

5. დადგენილებას თვითეული ცალკე პირის გადასახლების შესახებ უნდა დაერთოს გადასახლების მიზეზის დაწვრილებითი განმარტება.

6. დადგენილებაში გადასახლების შესახებ უნდა აღნიშნულ იქნეს ის რაიონი, სადაც გადასახლებული იგზავნება და გადასახლების დრო.

7. გადასახლების რაიონების სიას, კომისიის წარდგენით, დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

8. ადმინისტრატიული წესით გადასახლებული დაჰკარგავს აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას იმ დრომდე, ვიდრე გადასახლებული იქნება.

9. განსაზღვრულ რაიონში გადასახლებულ პირს ზედამხედველობას გაუწევს საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანო, რომელიც გადასახლებულს მიუჩენს საცხოვრებელ ადგილს გადასახლების რაიონში.

10. გაქცევა გადასახლების ადგილიდან ან გზიდან დაისჯება სასამართლოს წესით, სისხლის სამართლის კოდექსის 98 მუხლისამებრ.

11. ამა დადგენილების საფუძველზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გამოსცემს დაწვრილებითი ინსტრუქციას ადგილობრივ ორგანოთათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1924 წლ. აპრილის 29.

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს 6 მაისს, საღამოს 7 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 96) მოწვეულია წარმოებათა უჯრედების მდივნების თათბირი, სამხედრო ნაწილების უჯრედთა მდივნების თანდასწრებით. დღის წესრიგი: ინფორმაცია ადგილებიდან.

მდივანი: მასხულია

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს 7 მაისს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში მოწვეულია ბიუროების, დელეგატების და კომუჯრედების მდივნების კონფერენცია, არსენალის რაიონის უჯრედების ბიუროების და დელეგატების თანდასწრებით. სავალდებულოა ყველას გამოცხადება

მდივანი: მასხულია

პარტიის ამოცანების საკითხისთვის სადავოდ

ცენტრალური პარტიული კლუბი მართავს კომუნისტურ ორგანიზაციებს ამიერკავკასიის ყრილობის წინ დისკუსიას პარტიის ამოცანების შესახებ სადისკუსიოდ. ამხ. [illegible] (თეზისები ამხ. ლარინის წერილები) იმ ამხანაგებს, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში, წინადადება ეძლევათ წინასწარ მოამზადონ მასალები. დისკუსიის დღის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული

პარტკლუბის გამგეობა

განცხადებები

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ

დაიწყო

ოპერაციები პირადი დაზღვევისა

(სიცოცხლის დაზღვევა)

1. სიკვდილის შემთხვევის და შერეული,
2. საექიმო გასინჯვით და გაუსინჯავათ,
3. პერსონალური და ჯგუფური.

განცხადებას დაზღვევის შესახებ მიიღებენ ჯერ-ჯერობით თვითონ სამმართველო (თბილისი, აღმასკომის ქუჩა,—ყოფ. სოლოლაკისა,—№ 8) და მისი აგენტები თბილისში.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო.

ნის 1067—8—3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ.

ჯანსახკომის კურორტთა მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს

შეჯიბრებას

ქ. ბორჯომში სასტუმრო „მინერალური წყლები“ ს (ნაწილობრივ ავეჯეულობით) იჯარით გადაცემის შესახებ 1924 წლის 27 მაისიდან ორი წლის ვადით.

უკანასკნელი ვადა განცხადებების მიღებისა (დახურული კონვერტში ხელერთო მარკებით) დანიშნულია ა. წ. 14 მაისი

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ხაზინის ქვითარი შემონახვის თანხის 10 პროც. შეტანის შესახებ. განცხადებები, რომელშიაც შემოთავაზებული იქნება წლიურად 4.000 მანეთზე ნაკლები არ განიხილება.

განცხადებების მიღება: კურორტთა მთავარ სამმართველოში საქმეთა მმართველთან დილის 10 საათ ნაშუადღევის 2 საათამდე, (თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 30, ოთახი № 21). აქვე შეიძლება დაწვრილებით საჭირო პირობების გაგება.

2—2 ნის 1089.

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა სამართველო

სასწრაფოდ ესაჭიროება 20 კომპლექტი ვიწრო ლიანდაგის გადაყვან ისრებისა 75 სანტიმეტრის სიგანის ლიანდაგისათვის ყველა საჭირო ნაწილებით.

მსურველთ შეუძლიათ განცხადება შემოიტანონ სამუშაოთა სამმართველოს სამასალო ნაწილში ლ. დუმბაძის (ყოფ. ველიამინოვის) ქ № 8 ა. წ 10 მაისამდე.

ისრები ჩაბარებული უნდა იქნეს ტფილისში ა წ. 25 მაისამდე ტფილისში ან ავჭალაში.

ნ. 1099 3—1. სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი [illegible]

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ღვინის და სპირტის სახელმწიფო ტრესტი

ჰყიდის თავის ნაწარმოებ ხელოვნურ ყინულს—ფუთს 30 კაპეიკად

ყინულის დასზადება ხდება ტრესტის ყინულის დამამზადებელ ქარხანაში

კამოს ქუჩა (ყოფილი დიდი მთავრის) № 68.

გაყიდვაც აქვე ხდება

ახლო მომავალში მუშაობას დაიწყებს ტრესტის მეორე ყინულის დამამზადებელი ქარხანა—ყოფ. ძევგელოვისა—პუშკინის ქუჩა № 4.

8—3 ნ. 1078 ტრესტის სამმართველო

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვეგნის ქუჩის კუთხე, ოკრუგის სამმართველოს მახლობლად. 746—25—23.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენის კაბინეტით

მიხეილ გედევანიშვილის სახელობისა

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 20. 126—25—25

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეზრაბიანცისა

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა

რენტგენის ელექტრო სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 28.

895—25—8

დაკარგა სტუდენტის წიგნაკი № 1049 სახელმწიფო უნივერსიტეტის მე 5 კურსის სტუდენტის ლევან აბდუშელიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 911 1—1

დაკარგა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 605 მახეილ დიმიტრის ძე წყერიავას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 912 1—1

დაკარგა მეტრიკული მოწმობა № 3196, მოცემული არუთ ატონიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 907 1—1

დაკარგა იმერეთის საეპარქიო, გაბრიელის სახელობის ქალთა სასწავლებლის მე-7 ორწლიანი დამატებითი პედაგოგიური კლასის დამთავრების ატესტატი 1914 წლის 8 ივნისიდან № 4 ჩაითვალოს გაუქმებულად მარიამ ევსტატეს ასული თვალთვაძე. 906 1—1

დაკარგა მუშ. ფაკის პირადობის მოწმობა № 1804 გრიგოლ ნაბდეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 910 1—1

დაკარგა პირადი წიგნაკი, ფორმა № 4, მოცემული ილარიონ ინდრიას ძე კილეპტრიშვილის სახელზე ახალციხის რ. აღმასკომიდან 13 I—24 წ № 285. ჩაითვალოს გაუქმებულად. 900 1—1

სახელმწიფო ბანკის

ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა

სოლოლაკის ქ. № 5.

ქალაქის საგენტოებ: პლეხანოვის პრ. № 79. მოედანი, ბერძნული ქარვასლა.

აცხადებს, რომ 5 მაისიდან ოპერაციები სწარმოებს

დილის 9 საათიდან დღის 1 საათამდე

ნ. 1098 1—1